www.24saati.ge

24 საათი

The New York Times
International Weekly
ყოველ სამშაბათს

© გაზეთი 24 საათი | ხუთშაბათი, 14 ნოემბერი, 2013 წელი. | №3407 (214) | ფასი 50 თეთრი

უხსენებელი ოკუპაცია, მავთულხლართები და ბიუჯეტი

დებატები პარლამენტში

გუშინ პარლამენტის პლენარულ სხდომაზე დებატების საგანი რუსეთის „პირველ არხზე“ გასული, გიორგი მარგველაშვილთან ჩაწერილი ინტერვიუ იყო.

საპარლამენტო უმცირესობის წევრი სერგო რატიანი მარგველაშვილს ოკუპაციის მოუხსენებლობის გამო საყვედურობს. რატიანი ასევე შეშფოთებულია იმით, რომ მომავალ პრეზიდენტს არც დევნილების დაბრუნების პრობლემა და არც მავთულხლართები უხსენებია. როგორც ოპოზიციონერი ამბობს, მარგველაშვილმა ყურადღების მიღმა ასევე დატოვა ნატო და ევროატლანტიკური მისწრაფებები - საქართველოს სტრატეგიული ინტერესები. **„სამაგიეროდ, მარგველაშვილი საქართველოს ხელისუფლების დანაშაულების შესახებ საუბრობს, რომლებითაც თითქოს საქართველოს ხელისუფლება და პრეზიდენტი რუსეთს პრობლემებს უქმნიდა.**

გაგრძელება
მე-3 გვერდზე

„...უკვე ერთი წელი გავიდა“

ხადურს უმცირესობა პოლიტიკური პასუხისმგებლობის აღებისკენ მოუწოდებს

დათო გამისონია

ახალი პრემიერ-მინისტრისა და მთავრობის დამტკიცებამდე პარლამენტში დაწყებული 2014 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვა ფორმალურ ხასიათს ატარებს. ფინანსთა სამინისტროს პროექტის პირველ ვარიანტში საკანონმდებლო ორგანოს შენიშვნები არ გაუთვალისწინებია, მათ შორის - უმრავლესობის. როგორც უმრავლესობის წევრები აღნიშნავენ, მთავარია, შენიშვნები ახალმა მთავრობამ ასახოს. თუმცა, ამჟამინდელი ინფორმაციით, 5 დეკემბერს პარლამენტის წინაშე ბიუჯეტის პროექტის შესწორებული ვარიანტის წარდგენა ფინანსთა მინისტრის რანგში კვლავ ნოდარ ხადურს მოუწევს.

საპარლამენტო უმცირესობა კი ფინანსთა მინისტრის საქმიანობას უკიდურესად აკრიტიკებს.

გაგრძელება
მე-3 გვერდზე

ჯარისკაცები ისევ მოიწამლენ

გორში, ოსიაურის საწვრთნელ ბანაკში 61 სამხედრო მოსამსახურე მოიწამლა. მათ სამხედრო ნაწილის სამედიცინო პუნქტს ერთჯერადი ჩივილებით მიმართეს.

„ქართული კვების კომპანიამ“ ოფიციალური განცხადება გაავრცელა, სადაც აღნიშნულია, რომ აღნიშნულ ფაქტზე სამხედრო პოლიციამ სისხლის სამართლის საქმე უკვე აღძრა.

მათივე ცნობით, გამოძიების პირველადი მონაცემებით, საკვების მომზადებისას მზარეულის დაუდევრობა იკვეთება, რომელიც სამსახურიდან უკვე დაითხოვეს.

„ოსიაურის საწვრთნელ ბანაკში გუშინ 61-მა სამხედრო მოსამსახურემ სამხედრო ნაწილის სამედიცინო პუნქტს ერთჯერადი ჩივილებით მიმართა.

სამხედრო პოლიციამ ფაქტზე სისხლის სამართლის საქმე უკვე აღძრა. საქმეზე დაწყებულია მოკვლევა. დადასტურებულია, რომ ეს იყო მსუბუქი დიარეა. ინტოქსიკაციას ან მოწამვლის რამე მძიმე ფორმას ადგილი არ ჰქონია. არც ერთ სამხედრო მოსამსახურეს არ დასჭირვებია არანაირი ფორმის სამედიცინო დახმარება. ადგილზე შემოწმების შემდეგ სამხედროები საწვრთნელ პოლიგონს დაუბრუნდნენ. გამოძიების პირველადი მონაცემებით, იკვეთება მზარეულის დაუდევრობა საკვების მომზადებისას. მზარეული, რომლის დაუდევრობაც იკვეთება, „ქართული კვების კომპანიიდან“ უკვე დათხოვნილია,“ - ნათქვამია კომპანიის განცხადებაში.

მანამდე კი ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომ გორის მე-5 ქვეითთა ბრიგადაში 163 ჯარისკაცი, მათ შორის, ბრიგადის მეთაური იყო მოწამლული.

გაგრძელება
მე-2 გვერდზე

უკრაინა ევროინტეგრაციის ერთი წლით გადადებისთვის ემზადება?

თამთა კახაძე
ივა ბილაკაძე

უკრაინელი მეწარმეები ევროკავშირთან, რომელსაც ცუდად იცნობენ, ინტეგრაციას უფრთხიან და რუსეთის ბაზრის დაკარგვის ეშინიათ. ამაში მათ პრემიერი აზაროვი გარკვეულწილად ეთანხმება. ამას გარდა, კიევში ვილაცებს, როგორც ჩანს, ჯერ კიდევ აქვთ იმედი, რომ ევროკავშირთან დაგეგმილი ხელშეკრულებების ხელმოწერა «ტიმოშენკოს საკითხის“ მოგვარების გარეშეც განხორციელდება.

გაგრძელება
მე-4 გვერდზე

1 აშშ დოლარი		1.6643⇓
1 ევრო		2.2110⇓
1 ინგლისური გირვანქა		2.5933⇓
1 თურქული ლირა		0.8622⇓
100 რუსული რუბლი		5.0433⇓
თბილისი		12°C -6°C
ქუთაისი		13°C - 7°C
ზუგდიდი		13°C - 7°C
ბათუმი		14°C -9°C
ნავთობი	3.19	+0.00 +0.16%
გაზი	3.58	+0.11 +3.07%
ოქრო	1,743.20	-9.80 -0.56%
ხორბალი	868.50	+12.25 +1.41%

"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე
www.24saati.ge
ჩვენი პარტნიორები:

თიბისი ბანკი TBC BANK
ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს
FM 102.4
ბანკი კონსტანტა BANK CONSTANTA

ISSN 1987 9121
9 771987 912100 >

მარსაგიშვილსა და მაქარაშვილს 6 თვით თავისუფლება შეეზღუდათ

გიგა გურასაშვილი

ქართულ საჭიდაო სამყაროში სანქციებია. საქართველოს ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტის, ლუკა კურტანიძის გადაწყვეტილებით, თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ნაკრების წევრებს დავით მარსაგიშვილს და იაკობ მაქარაშვილს 6-თვიანი დისკვალიფიკაცია ელით.

გაგრძელება
მე-8 გვერდზე

ეროვნული მუზეუმის თანამედროვე ხელოვნების გამოფენები

ანა წულუკიძე

საქართველოს ეროვნული მუზეუმის ფარგლებში შემავალი რამდენიმე მუზეუმის საგამოფენო დარბაზები ამ დღეებში განსაკუთრებით საინტერესო ექსპოზიციებს გვთავაზობენ. მათგან ჩვენ განსხვავებულობის პრინციპით ორს შევარჩევთ და პოტენციურ დამთვალიერებელს ორიოდე სიტყვით გავაცნობთ მიმდინარე მნოვლენებს.

თბილისის ისტორიის მუზეუმ ქარვასლაში თბილისში მცხოვრები მხატვრის ერნა დოლმაზოვას პერსონალური გამოფენა გაიხსნა.

ერნა დოლმაზოვა გვთავაზობს გამოფენას სახელწოდებით «დაუჭრელი ისტორიები“, სადაც წარმოდგენილია მხატვრის სხვადასხვა ტექნიკაში შესრულებული კოლექცია, რომელიც 60 ნამუშევრისგან შედგება. ძირითადი მასალა, რომლითაც ერნა დოლმაზოვა თავის ნამუშევრებს ქმნის სამზარეულოს საჭრელი ხის დაფებია, რომელზეც გამოსახულია - «ჯვარცმა“, «მხატვარი ქალის პორტრეტი“, «ქალი იასამნისფერი თმებით მზის ჩასვლის და მზის ამოსვლის დროს“, «ფლეიტის ჩანთა“, «ცოლ-ქმარი მარაოიანი ბავშვით“, «მონაზონი“ და სხვა.

ერნა დოლმაზოვას ნამუშევარი

მხატვარი ორიენტირებულია საგნების და მოვლენების ემოციურ აღქმაზე. ავტორის კომპოზიციაში ფერი სწორედ მისი ემოციების გამოხატულებაა, რაც მის ნამუშევრებს საოცარ დინამიკურობას სძენს.

გაგრძელება
მე-5 გვერდზე

პროკურატურა განაჩენს ასაჩივრებს

თავდაცვის და შს ყოფილი მინისტრის ბაჩო ახალაიასა და სამხედრო პოლიციის ყოფილი უფროსის მეგის ქარდავას მიმართ ციხის ბუნტის საქმეზე გამოტანილი განაჩენი სააპელაციო წესით გასაჩივრდება.

სასამართლომ თავდაცვის და შს ყოფილი მინისტრი და მასთან ერთად ბრალდებულები დამამცირებელი და არაადამიანური მოპყრობის ჩადენაში დამნაშავეებად ცნო, თუმცა გაამართლა მერე ეპიზოდში, რომელიც ერთ-ერთი მსჯავრდებულის სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან უკანონოდ გაყვანას და დაკვალიფიცირებული სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებას ეხებოდა. მთავარი პროკურატურა სწორედ აღნიშნულ განაჩენს ასაჩივრებს და მიიჩნევს, რომ ბაჩო ახალაიას და მეგის ქარდავას მეორე ეპიზოდში გამართლება უკანონო და დაუსაბუთებელია.

„2013 წლის 28 ოქტომბერს თბილისის საქალაქო სასამართლომ დაასრულა განხილვა ე.წ. ციხის ბუნტის საქმეზე და ბრალდებულები: ბაჩანა ახალაია, რევაზ ჭარბაძე, დავით ჭაკუა და მეგის ქარდავა დამნაშავეებად ცნო დამამცირებელი და არაადამიანური მოპყრობის ჩადენაში (სისხლის სამართლის კოდექსის 1443-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“, „დ“, „ე“ და „ზ“ ქვეპუნქტები), ხოლო ამავე ეპიზოდში დანაშაულთა ერთობლიობით წარდგენილი ბრალდება, მათ მიერვე სამსახურებრივი უფლებამოსილების დამამძიმებელ გარემოებებში გადამეტებისთვის (სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტები), ოთხივე ბრალდებულს მოუხსნა.

ამავე განაჩენით, სასამართლომ ბაჩანა ახალაია და მეგის ქარდავა გაამართლა მეორე დამოუკიდებელ ეპიზოდში, რომელიც ეხებოდა ერთ-ერთი მსჯავრდებულის სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან უკანონოდ გაყვანას და ასევე იყო დაკვალიფიცირებული სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებით (სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის პირველი ნაწილი).

ბრალდების მხარე მიიჩნევს, რომ ბაჩანა ახალაიას და მეგის ქარდავას გამართლება მეორე ეპიზოდში უკანონო და დაუსაბუთებელია და ეწინააღმდეგება საქმეზე შეკრებილ ბრალდების დამადასტურებელ უტყუარ მტკიცებულებებს, რის გამოც პროკურატურა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 28 ოქტომბრის განაჩენს გაასაჩივრებს ზემდგომ სასამართლო ინსტანციაში და მოითხოვს ბაჩანა ახალაიასა და მეგის ქარდავას დამნაშავედ ცნობას საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის პირველი ნაწილითაც,“ - აღნიშნულია მთავარი პროკურატურის განცხადებაში.

ბაჩო ახალაიას ადვოკატი გოგა ონიანი პროკურატურის მიერ საქალაქო სასამართლოს განაჩენის სააპელაციო სასამართლოში გასაჩივრებას დადებითად აფასებს და ამბობს, რომ ციხის ბუნტის საქმეზე სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენის გასაჩივრებას დაცვის მხარეც აპირებდა. ონიანის განმარტებით, სააპელაციო სასამართლოში დაცვის მხარეს თავისი სიმართლის დამტკიცების საშუალება ეძლევა.

„მედიის თავისუფლების ინდექსში“ საქართველო მეორე ადგილზე დაქვეითდა

აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებს შორის „მედიის თავისუფლების ინდექსში“ საქართველო მეორე ადგილზე დაქვეითდა. ინფორმაციას ამის შესახებ Mediafreedomwatch.org ავრცელებს.

„ინტერნიუსი უკრაინის“ მიერ ჩატარებული კვლევის შედეგად, აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებს შორის პრესის თავისუფლების მხრივ ყველაზე თავისუფალი მოლდოვაა, რომელიც პირველ ადგილზეა და 6 ქულით უსწრებს საქართველოს.

„მედიის თავისუფლების ინდექსში“ მესამე და მეოთხე ადგილზე სომხეთი და უკრაინა არიან, მეხუთეზე - აზერბაიჯანი, მეექვსეზე კი - ბელარუსი.

კვლევა აღმოსავლეთ პარტნიორობის ექვს ქვეყანაში 2013 წლის ივლისიდან სექტემბრის ჩათვლით სამი თვის მდგომარეობას ასახავს.

ამასთან, ოქტომბრის თვეში წარმოდგენილ იმავე ინდექსში საქართველო პირველ ადგილზე იმყოფებოდა.

ჯარისკაცები ისევ მოიწამლენ

პირველი გვერდიდან

სამხედროების მოწამვლის ერთ-ერთ მიზეზად უხარისხო საკვები პროდუქტი სახელდებოდა - კერძოდ, იმპორტირებული გაყინული ხორცი.

ასევე ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომ აღნიშნული ბრიგადისთვის საკვებს მოყვარული მზარეული ამზადებდა, რომელსაც შესაბამისი სამუშაოს შესრულებისთვის სათანადო ლიცენზია არ გააჩნდა.

თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე ირაკლი სესიაშვილის განცხადებით, გორში სამხედროების მოწამვლის ფაქტის დაწვრილებით გამოძიებაა საჭირო. პარლამენტარის თქმით, შინაგან საქმეთა სამინისტრომ მომხდარი ფაქტი პირად კონტროლზე უნდა აიყვანოს და დამნაშავის გამოსავლენად აუცილებელი ყველა დეტალი გაითვალისწინოს.

„ძალიან ცუდი ფაქტი განმეორდა, რის გამოც რამდენიმე სამხედრო მოსამსახურე მოიწამლა. აუცილებელია ფაქტის დაწვრილებით შესწავლა და დამნაშავის გამოვლენა. სწორედ ამის შემდეგ იქნება შესაძლებელი კომენტარის გაკეთებაც. რაც შეეხება საბოტაჟის ფაქტს, რომელიც, სავარაუდოდ, ირაკლი ალასანიას წინააღმდეგ არის მიმართული, ამას გამოძიება გამოავლენს,“ - განცხადა ირაკლი სესიაშვილმა.

მომხდარის შესახებ კომენტარი გააკეთა ჯანდაცვის მინისტრმა დავით სერგეენკომაც. ჯანდაცვის მინისტრის განმარტებით, საკვებით მოწამვლას მხოლოდ პროდუქციის უხარისხობა არ იწვევს და ხარისხიან პროდუქტთან ერთად, მნიშვნელოვანია, თუ როგორ მზადდება და ინახება საკვები. ამასთან, სერგეენკოს თქმით, უმნიშვნელოვანესი ფაქტორია თვითონ მომხმარებლისგან ჰიგიენის დაცვა - ხელის დაბანაც.

„იყო ასეთი შემთხვევა. როგორც ჩემთვის ცნობილია, ოსიაურის სამხედრო ბაზაში 61-მდე სამხედრო მოსამსახურეს მსუბუქი მოწამვლის ნიშნები აღენიშნა, რომლებმაც სამედიცინო პუნქტს მიაკითხეს და ერთჯერადი კონსულტაციითა და ერთჯერადი დახმარებით ამ შემთხვევის კურირება მოხდა. სავარაუდო მიზეზი იყო საკვების დამზადების პროცესში დაშვებული შეცდომები, რაზეც, რამდენადაც ვიცი, პასუხისმგებლობა კვების ბლოკის კონკრეტულ თანამშრომელს დაეკისრა. ზოგადად, საკვებით და კვებითი მოწამვლა მხოლოდ პროდუქციის ხარისხი არ არის, ეს არის მთელი მწკრივი - ხარისხიანი პროდუქტი, დამზადება, მიწოდება, შენახვა და აქვე, უმნიშვნელოვანესი ფაქტორია თვითონ მომხმარებლისგან სწორი ჰიგიენა - ხელის დაბანა,“ - განაცხადა სერგეენკომ.

ჯარისკაცემის მოწამვლის ფაქტს გამოეხმაურა საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერიც. დავით საგანელიძე არ გამორიცხავს, რომ თავდაცვის მინისტრის წინააღმდეგ საბოტაჟის შესახებ ეჭვები მართალი იყოს.

„ვწუხვარ, რომ კვლავ დაფიქსირდა ასეთი ფაქტები, მე არ გამოვრიცხავ, რომ გარკვეული საშუალებების მხრიდან საბოტაჟს ჰქონდეს ადგილი შიგნიდან,“ - აღნიშნა საგანელიძემ.

ცნობისათვის - ბოლო პერიოდში სამხედრო ნაწილებში ჯარისკაცთა მოწამვლის რამდენიმე ფაქტი გამოვლინდა, რომლებსაც პროკურატურა სწავლობს.

„იდენტობა“ უსახლკაროთათვის თავშესაფარს ველარ აკეთებს

თბილისში უსახლკაროებისთვის თავშესაფრის მოწყობას საპატრიარქო შეეწინააღმდეგა და ორგანიზაცია „იდენტობის“ აღნიშნულ ინიციატივას არც სახელმწიფომ დაუჭირა მხარი.

თავშესაფარის მიზანი იყო, ზამთრის ყინვისგან იმ ადამიანების გადარჩენა, რომლებიც ქუჩაში ცხოვრობენ. ორგანიზაციას კერძო პირმა ბაგების დასახლებაში 80 კვ.მ ფართობის ბინა უკვე გადასცა. „იდენტობას“ განზრახული ჰქონდა სრული ფსიქო-სოციალური სარეაბილიტაციო პროგრამის შემუშავება იმ ოჯახებისთვის, რომლებიც სამუშაოს, შემოსავლის ალტერნატიული წყაროსა და საცხოვრებლის გარეშე არიან.

მამა ალექსანდრე თავშესაფარის გახსნის ინიციატივას პიარაქციად აფასებს და ამბობს, რომ „იდენტობას“ საკუთარი თავის კარგი კუთხით წარმოჩენა სურს.

„იდენტობის“ ინიციატივა - უსახლკარო პირთათვის თავშესაფრის გახსნა - მათი ერთ-ერთი პიარაქციაა, რათა მათ საკუთარი თავი კარგი კუთხით წარმოაჩინონ. ის, რომ ეკლესია არ აღიარებს და არასდროს მიიღებს ჰომოსექსუალიზმს, როგორც ნორმას, ერთმნიშვნელოვანია. ეს არის ფასეულობა, რომლის იქით ეკლესია არ წავა, ეს არის ზღვარი. ადამიანებს, რომლებსაც სურთ, კეთილი საქმე აკეთონ, ძალიან კარგია და გააკეთონ, მაგრამ ვისი ეგიდით აკეთებ და ვის პიარკამპანიაში მონაწილეობ, ამას არსებითი მნიშვნელობა აქვს. უსახლკაროთა, გაჭირვებულთა და გაუბედურებული ხალხის თავშესაფარს ემსახურება მთლიანად ქართული ეკლესია ყველანაირად,“ - აღნიშნა მამა ალექსანდრე გალდავამ.

პატრიარქის პრესმდივან მიქაელ ბოტკოველის განცხადებით, უსახლკაროთა დახმარება „ლგბტ ორგანიზაციის ქოლგის ქვეშ“ არ უნდა მოხდეს: **„ძალიან მკაცრები ვიქნებით და არ გავუწევთ ანგარიშს ამ ადამიანების პოზიციას. არსებული ყველა საშუალებით, რა თქმა უნდა, მშვიდობიანად, საზოგადოების ყურამდე მივიტანთ იმ სატკივარს, რაც ჩვენს ქვეყანას ჭირს. წარმოუდგენელია, ხალხი შეეგუოს იმას, რომ ასეთი სექსუალური ორიენტაციის მქონე ადამიანებმა იზრუნონ მოზარდ თაობაზე და იმ ადამიანებზე, ვისაც ეს გასაჭირი აქვს.“**

საპატრიარქოს „მშვიდობიანი პროტესტის“ გამო „იდენტობა“ უსახლკაროთა თავშესაფრის გახსნას ველარ ახერხებს. ორგანიზაციის განცხადებაში ნათქვამია, რომ მათ ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წარმომადგენლები დაუკავშირდნენ და გააფრთხილეს, რომ თავიანთ საცხოვრებელ კორპუსში თავშესაფრის განთავსებას არ დაუშვებენ და თუ თავშესაფარი დაგეგმილ ადგილზე გაიხსნება, ისინი მის ფუნქციონირებასა და მცხოვრებლებს ყოველდღიურად პრობლემებს შეუქმნიან.

„სახელმწიფოსა და ეკლესიის წარმომადგენელთა მხრიდან გაკეთდა რიგი უპასუხისმგებლო, ანტისახელმწიფოებრივი, მიზანმიმართულად მცდარი და სიძულვილით მოტივირებული განცხადებები. როგორც ჩანს, საქართველოს მოქალაქეთა ერთი ნაწილი კვლავ ვერ აცნობიერებს პრობლემის სერიოზულობას ან მიზანმიმართულადაა შეცდომაში შეყვანილი. შედეგად, სახეზეა მდგომარეობა, როდესაც, დახმარების ნაცვლად, ყველაზე მიუსაფარი ადამიანებისთვის კვლავ რეალურია სიცივით თბილისის ქუჩებში გარდაცვალების საფრთხე,“ - აღნიშნულია განცხადებაში.

მიუხედავად უსახლკაროთა თავშესაფრის გახსნის ინიციატივის კანონიერებისა, ორგანიზაციაში ეჭვი ეპარებათ, რომ თავშესაფრის ბენეფიციართა უსაფრთხოება დაცული იქნება.

უფლებადამცველი თამარ გურჩიანი მიიჩნევს, რომ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის პრესმდივნის განცხადება ადამიანურობისა და ქრისტიანობის წინააღმდეგ მიმართული კამპანიაა.

„ვიცით, რომ გარკვეული უმცირესობები სძულთ, მაგრამ თუ ყველაზე დაჩაგრულ ფენას დაუპირისპირდებოდნენ, ადამიანებს, რომლებსაც არა აქვთ სახლი და ქუჩაში ათევენ ღამეს, ვერ წარმოვიდგენდი,“ - თქვა გურჩიანმა „ლიბერალთან“ საუბარში.

რაც შეეხება ხელისუფლების პოზიციას, ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე ეკა ბესელია აცხადებს, რომ ის „საკითხის სიღრმეებში არ შედის“ და არც საპატრიარქოს განცხადებაზე აკეთებს კომენტარს. პარლამენტარის თქმით, თავშესაფრის მოწყობა არ შეიძლება თვითშემოქმედება იყოს, მაგრამ თუ ინიციატორი კანონს არ არღვევს, ამ სიკეთეს მიესალმება.

„კომენტარს ვაკეთებ გავრცელებული ინფორმაციების საფუძველზე და საკუთარ თავს იმაზე მეტის უფლებას ვერ მივცემ, ვიდრე ზოგადი შეფასებაა. თუ ადამიანი კანონს არ არღვევს, ყოველთვის მივესალმები სიკეთის გაკეთებას,“ - ამბობს ბესელია.

ჯანდაცვის მინისტრი დავით სერგეენკო მხოლოდ უსახლკარო ბავშვებზე ამახვილებს ყურადღებას და აღნიშნავს, რომ მათ დასახმარებლად საქართველოს ხელისუფლება ნებისმიერ ინიციატივას მიესალმება, თუმცა ეს ყველაფერი საერთაშორისო კანონმდებლობისა და გამოცდილების ჩარჩოებში უნდა იყოს მოქცეული.

„ბავშვებზე ზრუნვა ორი მთავარი ფუნქციისგან შედგება - ეს არის ინფრასტრუქტურული და აღზრდის მეთოდები. ორივე დაფუძნებულია UNISEF-ის გამოცდილებაზე და საერთაშორისო და საქართველოს კანონმდებლობებსთან მოდის რეგულაციაში. აღზრდის მეთოდები შეთანხმებული უნდა იყოს საერთაშორისო დეკლარაციებთან და საქართველოს კანონმდებლობასთან. მივესალმებით ნებისმიერ ინიციატივას, რომელიც ამ ბავშვების დახმარებისკენ არის მიმართული, თუმცა ეს ყველაფერი საერთაშორისო კანონმდებლობისა და გამოცდილების ჩარჩოებში უნდა იყოს მოქცეული... თუ ეს პირობები დაკმაყოფილდება და ამაში სათავო დაწესებულება ჯანდაცვის სამინისტრო იქნება, სიამოვნებით ვითანამშრომლებთ ნებისმიერთან,“ - აცხადებს მინისტრი და შენიშნავს, რომ ასეთი ინიციატივა კომპლექსურად უნდა განხორციელდეს და არა იზოლირებულად, როგორც, სერგეენკოს თქმით, „იდენტობა“ გეგმავდა.

გაზეთ "24 საათის" გამომცემელი შპს "მვპ". რედაქტორ-გამომცემლები:
მამუკა ფაჩუაშვილი, პაატა ვეშაპიძე.
რედაქცია: სოფიკო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (საზოგადოება,Weekend), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), ივა შილაკაძე (უცხოეთი)
სოფო კილასონია (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი). **რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი** ირაკლი ლეჟავა ტელ: 899 22 09 49. კომპიუტერული ცენტრი: ირმა ჯიშკარიანი, ნინო ყაველაშვილი
რედაქციის მისამართი: ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას 45, 14-ე სართული. ტელ: 40-94-45; 40-94-46; 40-94-47; 40-94-48 ელ-ფოსტა: public@24hours.ge

უხსენებელი ოკუპაცია, მავთულხლართები და ბიუჯეტი

პირველი გვერდიდან

მსხვერპლისთვის დანაშაულის დაბრალება არის ის, რასაც მხოლოდ კომუნისტები და ნაცისტები აკეთებდნენ. მსხვერპლს ადანაშაულებ იმაში, რაც არა თუ არ გაუკეთებია, არამედ პირიქით, მის წინააღმდეგ იყო მიმართული," - დასძენს სერგო რატიანი.

რატიანი ასევე არადამაკმაყოფილებლად მიიჩნევს იმ განმარტებას, რომლის თანახმადაც გიორგი მარგველაშვილის ინტერვიუ რუსეთსა და საქართველოს შორის დაძაბულობის მოხსნისკენ იყო მიმართული. **„ეს არ არის დაძაბულობის მოხსნა, როცა არც ერთ პრობლემას არ ახსენებ. ეს არის რუსეთის საოკუპაციო პოლიტიკისთვის კომფორტის შექმნა. პრობლემებზე თვალის დახუჭვა ყველაზე ცუდია, რაც ჩვენმა ქვეყანამ შეიძლება, გააკეთოს. ქვეყანა არაა მძინარე მზეთუნახავი, რომელიც საოცნებო პრინცს უნდა ელოდოს. მით უმეტეს, როცა ეს პრინცი რუსეთი არ არის,"** - აღნიშნა რატიანმა.

საპარლამენტო უმცირესობის წევრი ნუგზარ წიკლაური მიიჩნევს, რომ გიორგი მარგველაშვილმა რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმირ პუტინის რიტორიკა გაიმეორა.

„მძიმე სანახავი იყო ის, რომ სახელმწიფოს მომავალი მეთაური, რომელიც საგარეო პოლიტიკაში ქართული სახელმწიფოს წარმომადგენელია, ოკუპანტი ქვეყნის ტელევიზიით გამოსვლისას ოკუპაციისა და საკუთარი სახლებიდან ეთნიკური წმენდის შედეგად გამოყრილი ასეულობით ათასი დევნილის შესახებ არაფერს ამბობს.

ეს პუტინის რიტორიკაა, რითიც მარგველაშვილის საუბარი პუტინის, ლავროვის გამოსვლებს ჰგავდა," - მიიჩნევს ნუგზარ წიკლაური.

წიკლაურის აზრით, მარგველაშვილი გამონაკლისი არ არის და იგი „ქართული ოცნების" ხელისუფლების ერთიან პოლიტიკას იმეორებს. **„იმ ადამიანმა, რომელიც უამრავი ადამიანის მხარდაჭერითაა არჩეული, ვერ გააცნობიერა, რა არის ყველაზე მნიშვნელოვანი. მარგველაშვილთან ინტერვიუ ბიძინა ივანიშვილის მიერ სხვადასხვა დროს გაკეთებული განცხადებების ექოა,"** - აღნიშნა უმცირესობის წევრმა.

ოპოზიციას უმრავლესობიდან ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის დროებითი საპარლამენტო კომისიის თავმჯდომარე გია ვოლსკი გამოეხმაურა. **„ოკუპაციის საკითხი ზუსტად იქ არის დაფიქსირებული, სადაც საჭიროა და იმ ჩიხიდან, რომელშიც „ნაციონალურმა მოძრაობამ" შეგვიყვანა, გამოსვლაა საჭირო. დღესაც ეს ენის ჭარტალი, წინა შეცდომების გაუთვალისწინებლად არასწორი შეფასებები დანაშაულია ეროვნული უსაფრთხოების წინაშე. ტერიტორიები ოკუპირებულია, სახეზეა შეცდომები და არა მარტო შეცდომები, არამედ დანაშაულებრივი შეცდომები. ყველანაირი ცრემლი, ვითომ სინანულის სიტყვა, უზნეობაა, რადგან შედეგი დაღუპული ადამიანები, დაკარგული ტერიტორიები და პოლიტიკური ჩიხია, რომელშიც სტრატეგიული შეცდომებით შეზავებულმა უზნეობამ შეგვიყვანა,"** - ამბობს გია ვოლსკი. მისი მტკიცებით, საქართველოში ხელისუფლება რომ არ შეცვლილიყო, ქვეყანა ალბათ ათმაგ ჩიხში აღმოჩნდებოდა.

პარლამენტარების განცხადებებისთვის განკუთვნილ დროში უმცირესობისა და უმრავლესობის დავის საგანი საბიუჯეტო საკითხები იყო. უმცირესობის წევრი ზურაბ მელიქიშვილი მთავრობას კომპლექსური მიდგომის შემუშავებისკენ მოუწოდებს. ამასთან, მელიქიშვილი უმრავლესობას იმ განცხადებებს ახსენებს, რომლებსაც „ნაციონალური მოძრაობა" რამდენიმე თვის წინათ აკეთებდა. **„მთავრობიდან მარტივი და თავდაჯერებული პასუხი იყო, რომ ყველაფერი კარგადაა. ცოტა ხნის წინ მოუწიათ აღიარება, რომ სახარბიელო მდგომარეობა არ გვაქვს და დაგეგმილი 6 პროცენტის ნაცვლად, ეკონომიკის 2 პროცენტით გაზრდა საუკეთესო ვარიანტი იქნება. მთავრობაში მხოლოდ ახლა საუბრობენ იმის შესახებ, რომ საგადასახადო შემოსავლები მცირდება,"** - თქვა მელიქიშვილმა და განაგრძო, - **მთავრობასთან ერთად, მეც დამარცხებული ვარ, გამომდინარე იქიდან, რომ სამსახურს კარგავს ჩემი ახლობელიც და თანამოქალაქეც. ნიშნის მოგებით საუბარს არ ვაპირებ. ეკონომიკის მიმართ დამოკიდებულება და მიდგომები შესაცვლელია. არ შეიძლება, ვიღებდეთ კანონპროექტებს, რომლებიც სიგნალს აძლევს ინვესტორს, რომ არ უნდა შემოვიდეს საქართველოში.**

მელიქიშვილს უმრავლესობის წევრი ეკა ბესელია პასუხობს: **„ინვესტორებს ცუდ სიგნალს და ფონს უქმნის არა ის პოლიტიკა, რომელსაც ახალი ხელისუფლება და მთავრობა ახორციელებს, რაც, ჩვენი აზრით, უდავოდ სწორია, არამედ ის განცხადებები, რომლებსაც ეკონომიკის ნგრევის შესახებ თქვენი გუნდის წევრები და პრეზიდენტი ხშირად აკეთებთ. როცა ქვეყნის პირველი პირი შიდა ეკონომიკური ძვრების შესახებ ასე საუბრობს, განსაკუთრებული უპასუხისმგებლობა და საკუთარი ქვეყნისადმი მტრული დამოკიდებულება იკითხება. მიწის უცხოელებზე გასხვისებაზე მორატორიუმის შესახებ პარლამენტის მიერ მიღებული კანონი ძალიან მნიშვნელოვანია. არ შეიძლება, ქართული მიწა ისე იყიდებოდეს, როგორც ყოველდღიური მოხმარების საგანი,"** - ამბობს ეკა ბესელია.

ბესელიას მიერ ნახსენები საკანონმდებლო ცვლილების მიღების გამო საპარლამენტო უმრავლესობა თავად პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა არაერთხელ გააკრიტიკა.

ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობა - მაჟორიტარების" თავმჯდომარე აკაკი ბობოხიძის თქმით, შეუძლებელია, შენიშვნები გქონდეს იმ ეკონომიკური გუნდის მიმართ, რომელმაც ბიუჯეტში თითქმის ნახევარმილიარდიანი ლარის ოდენობის გარღვევა მოახერხა. **„ირაკლი ღარიბაშვილის ადგილას, ამ ეკონომიკურ გუნდს ქვეყნის მართვას არ ჩავაბარებდი,"** - თქვა ბობოხიძემ.

საკუთარი ინფორმაცია

„ნაციონალური მოძრაობის" გენერალური მდივნის მოვალეობას მიხეილ მაჭავარიანი შეასრულებს

ვანო მერაბიშვილის პატიმრობაში ყოფნის განმავლობაში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" გენერალური მდივნის მოვალეობას მიხეილ მაჭავარიანი შეასრულებს.

პარტიის პოლიტსაბჭოს გადაწყვეტილებით, მაჭავარიანი „ნაციონალური მოძრაობის" აღმასრულებელი მდივანი გახდა. ამასთან, როგორც პარტიაში განმარტავენ, „გენერალური მდივნის ვანო მერაბიშვილის პოლიტიკურ პატიმრობაში ყოფნის გამო მიღებულია გადაწყვეტილება, აღმასრულებელმა მდივანმა გენერალური მდივნის მოვალეობაც შეასრულოს."

პოლიტსაბჭოს სხდომაზე ასევე დამტკიცდა პარტიის ახალი სტრუქტურა. ორი კვირის შემდეგ პარტიის სხვა მდივნებსაც აირჩევენ.

მიხეილ სააკაშვილი - განურჩევლად ყველა მსურველი უცხოელისთვის საქართველოს მოქალაქეობის მინიჭებას არ ვაპირებ

საქართველოს მოქმედი პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის მტკიცებით, საქართველოს მოქალაქეობის მინიჭებისას არ „მკაცრი კრიტერიუმებით" იხელმძღვანელებს.

ამის შესახებ განცხადებას მიხეილ სააკაშვილი „ფეისბუქში" აქვეყნებს.

„ახლახან ვნახე პრეზიდენტის სასახლესთან საქართველოს მოქალაქეობის მიღების მსურველთა დიდი რიგი. ყველა ამ პროცესით დაშინებულს მინდა, ვუთხრა, რომ, რა თქმა უნდა, არ ვაპირებ, განურჩევლად ყველა უცხოელს საფუძვლის გარეშე მივანიჭო მოქალაქეობა. მე მაქვს მკაცრი კრიტერიუმები და ადამიანს მკვეთრად გამოხატული საფუძველი და საქართველოსთან კავშირი უნდა გააჩნდეს ქართული პასპორტის ასაღებად," - აცხადებს მიხეილ სააკაშვილი.

ამასთან, მისივე განმარტებით, საქართველო მიმზიდველი ქვეყანა გახდა და ვისაც ეს არ სჯერა, შეუძლია, მივიდეს ჯერ კიდევ პრეზიდენტის სასახლესთან და ნახოს ის ხალხი, ვისაც ამის ნამდვილად სჯერა.

„ამავე დროს, მსურს, ყველა დაფიქრდეს, 2004-ში ჩვენ ჩავიბარეთ საქართველო, რომელშიც გრძელი რიგი იდგა მოქალაქეობიდან გასვლის მსურველებისა. მსოფლიოში პატარა უმცირესობაა იმ ქვეყნების, რომელთა მოქალაქეობა სასურველი და სანატრელია და ჩვენი ქვეყანა ბოლო წლების რეფორმებისა და ცვლილებების შედეგად ამ ქვეყნების რიგში მოხვდა. ჩვენ ვიბრუნებთ ქართველებს 2004-დან 2012 წლის ჩათვლით. ყველა წელს, გარდა 2008-ისა, ჩვენ გვქონდა მიგრაციის პოზიტიური სალდო - ე.ი მეტი ადამიანი დაბრუნდა ქვეყანაში, ვიდრე დატოვა იგი. საქართველო გახდა მიმზიდველი ქვეყანა და ვისაც ეს არ სჯერა, შეუძლია, მივიდეს ჯერ კიდევ პრეზიდენტის სასახლესთან და ნახოს ის ხალხი, ვისაც ამის ნამდვილად სჯერა.

ყველაფერი უნდა ვიღონოთ, რომ ეს პოზიტიური იმიჯი და მიმზიდველობა არ დავკარგოთ," - აღნიშნავს მოქმედი პრეზიდენტი.

პრეზიდენტის ადმინისტრაციაში საქართველოს მოქალაქეობის მსურველთა განცხადებების მიღება 12 ნოემბერს დასრულდა.

„...უკვე ერთი წელი გავიდა"

ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" თავმჯდომარე გოკა გაბაშვილის თქმით, გასაგებია, რომ ერთი წლის წინათ ნოდარ ხადური აგრესიული რიტორიკით იმის შესახებ, რომ ბიზნესი დატერორებული იყო, პოლიტიკურ ტალღაზე ფონს გადიოდა. დღეს, როგორც გაბაშვილი აღნიშნავს, ერთი წელი გასულია, ხოლო ხადურის მიერ დაგეგმილი ბიუჯეტი ვერ შესრულდება, რამდენიმე ასეული მილიონი ლარი ექნება გარღვევა; ამასთან, ფინანსთა მინისტრის მიერ პროგნოზირებული ეკონომიკური ზრდა არ გამართლდა, ბიზნესი ფაქტობრივად შეჩერებულია და ეკონომიკურ გუნდს უდიდესი ჩავარდნა აქვს. **„ხომ არ ფიქრობთ, რომ დადგა დრო, საქართველოს ფინანსთა მინისტრი მოევლინოს და არა წარუმატებლობების აგრესიული რიტორიკით გამმართლებელი,"** - მიმართა პლენარულ სხდომაზე გაბაშვილმა ხადურს.

ნოდარ ხადურმა საპასუხოდ ყოფილ მთავრობას დატერორებული ბიზნესისთვის ბოდიშის მოხდა ურჩია. **„ჩვენ პასუხისმგებლობა 2012 წლის და ახლანდელ არჩევნებზე ავიღეთ,"** - დასძინა ხადურმა.

უმცირესობის წევრები ბიუჯეტის პროექტის სხვადასხვა მიმართულებების შესახებ გამოთქვამენ უკმაყოფილებას. ზურაბ მელიქიშვილი მიიჩნევს, რომ ბიუჯეტის პროექტში ციფრები არასწორად არის წარმოდგენილი. მისი მონაცემებით, დოკუმენტში წლევანდელი მდგომარეობა და ჩავარდნილი საგადასახადო შემოსავლები გათვალისწინებული არ არის. ამასთან, როგორც პარლამენტარი ამბობს, მომავალი წლის მთლიანი შიდა პროდუქტი არასწორად არის დაგეგმილი, ყველა მაკროპარამეტრი კი სწორედ აქედან გამომდინარეობს, რაც მსჯელობას ართულებს.

რაც შეეხება თანხების გადანაწილების საკითხს, მელიქიშვილის თქმით, 2014 წელს

პენსიები არც ერთი თეთრით არ იზრდება. როგორც დეპუტატი ამბობს, პირველი წელია, როდესაც რიგითი პოლიციელის ხელფასის ზრდა გათვალისწინებული არ არის და ინფრასტრუქტურული პროექტები შემცირებულია.

კითხვების უმეტესობა მიმდინარე წლის ბიუჯეტის შესრულების საკითხს ეხებოდა. როგორც ნოდარ ხადური ამბობს, მთავრობას შემოსავლების ზოგიერთ ნაწილში შესაძლოა, პრობლემა ჰქონდეს, მაგრამ ვალდებულებების შესასრულებლად თანხების გაცემის მიმართულებით სირთულეები არ იქნება. ხადურის ინფორმაციით, 2013 წლის ბიუჯეტში დღესაც ნახევარ მილიარდ ლარზე მეტია შენახული. ფინანსთა მინისტრის ამ განცხადებას უმცირესობის არაერთი წევრის გამოხმაურება მოჰყვა. **„ერთი წლის განმავლობაში ვერ მოიფიქრეთ, ჩვენ მიერ დატოვებულ ღარიბ საქართველოში 800 მილიონი რაში დაგეხარჯათ?"** - მიმართავს მინისტრს ოპოზიციონერი.

უმცირესობის წევრი პეტრე ცისკარიშვილი ხადურის სიტყვებს იმეორებს, რომლის თანახმად, ის კომპანიები, რომლებიც ინფრასტრუქტურულ პროექტებს ახორციელებდნენ, ერთ თვეში დაიხურა. ცისკარიშვილის აზრით, მთავრობამ ტენდერები ერთი წლის განმავლობაში იმის გამო არ ჩაატარა, რომ თავის დაზღვევის მიზნით თანხის შენახვა სურდა, რათა საჭიროების შემთხვევაში ამ თანხით სოციალური ვალდებულებები დაეფარა.

ხადური ცისკარიშვილის მოსაზრებას არ ეთანხმება, თუმცა აღნიშნავს, რომ საქართველოს ეკონომიკაში, მშენებლობის გარდა, ყველა მიმართულებით ზრდაა. ხადურის ინფორმაციით, მშენებლობაში 12-პროცენტიანი შემცირებაა, თუმცა კერძო სექტორში მშენებლობა 10 პროცენტით არის გაზრდილი.

ფინანსთა მინისტრის მტკიცებით, მთავრობა სოციალურ ვალდებულებებს სრულად შეასრულებს. **„სეკვესტრი არ იქნება, ეს სიტყვა კარგად დაიგიწყეთ და გადააგდეთ,"** - მიმართავს უმცირესობის წევრებს ხადური.

მინისტრმა გამოსვლის დიდი ნაწილი ყოფილ მთავრობას დაუთმო. **„ეკონომიკა იმ შოკიდან გამოდის, რომელშიც „ნაციონალური მოძრაობის" ხელისუფლებამ დატოვა,"** - ამბობს ხადური. როგორც მინისტრი აღნიშნავს, კერძო სექტორი გაჯანსაღების პროცესშია და ის ახლა წინა ხელისუფლების ზეწოლისგან გამოდის. **„არავინ არავის დაიბარებს და ფულს არ წაართმევს. მხოლოდ გასულ წელს 100 მილიონი ლარი იყო აკრეფილი ე.წ. არადეკლარირებული გადასახადების საგადასახადო შეთანხმებებით - როცა ბიზნესმენებს კონკრეტული ჩინოვნიკი იბარებდა და პირდაპირ აწერდა ფულს. შემდეგ ეუბნებოდა, რომ სანაცვლოდ ბუღალტერია დაეწვა,"** - თქვა ნოდარ ხადურმა, - **ბევრი ბიზნესმენი მოდის და გვეუბნება, რომ იმავე იუსტიციის სახლების მშენებლობისას მათ წაართვეს მასალა, ნედლეული და ასე შემდეგ, რაც ბიზნესმენებს ძალიან რთულ დღეში აყენებდა. ეტყოდნენ, მოიტანეთ, პირობითად - საღებავი. მეორე დღეს, როცა ფულზე მიდიოდნენ, ეუბნებოდნენ: ჭკუით იყავით, თორემ დაგიჭერენ და საერთოდ დაკარგავ ყველაფერს ან ვიღაცას დაუჭერდნენ და შემდეგ მიატანინებდნენ ფულს."**

ეკონომიკური ზრდის დაბალ მაჩვენებელს კი, ხადურის აზრით, როგორც ობიექტური, ასევე სუბიექტური მიზეზები აქვს. **„ამის მიზეზი ის აგრესიული ფონი იყო, რომელიც უმცირესობიდან და პრეზიდენტიდან მოდიოდა. ინვესტორებისთვის ეს არის ნიშანი, სიგნალი, რომ ცოტა ხანს თავი შეიკავონ, თუმცა მინდა, ვთქვა, რომ წელს, მეორე კვარტალში უფრო მეტი იყო ინვესტიცია, ვიდრე გასული წლის მეორე კვარტალში,"** - აღნიშნავს ნოდარ ხადური.

2014 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვა პარლამენტში დღეს რიგგარეშე სხდომაზე გაგრძელდება. პროექტს უმრავლესობის წევრებიც აკრიტიკებენ, თუმცა იმედოვნებენ, რომ მათი შენიშვნები იმ ვერსიაში აისახება, რომელსაც ფინანსთა მინისტრი პარლამენტს 5 დეკემბერს წარუდგენს. წინააღმდეგ შემთხვევაში, როგორც პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტის თავმჯდომარე ზურაბ ტყემალაძე აღნიშნავს, 2014 წლის ბიუჯეტის პროექტის მხარდაჭერა ძნელი იქნება.

ხადურის მიერ წარმოდგენილი პროექტის მიხედვით, 2014 წელს სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი 9 მილიარდ 9 მილიონ ლარს შეადგენს. აქედან, საგადასახადო შემოსავლებზე 6 950.0 მლნ ლარი მოდის; გრანტები - 129.8 მლნ ლარი; სხვა შემოსავლები - 300.0 მლნ ლარი; სახელმწიფო ქონების პრივატიზაციიდან მისაღები სახსრები - 80.0 მლნ ლარი; გასულ წლებში გაცემული სესხების დაბრუნება - 70.0 მლნ ლარი; მსოფლიო ბანკის კრედიტი - 102.0 მლნ ლარი; ინფრასტრუქტურული პროექტების დასაფინანსებლად გამოყოფილი საინვესტიციო კრედიტები - 630.0 მლნ ლარი; სხვადასხვა ვადიანობის მქონე სახელმწიფო საშინაო ფასიანი ქაღალდების გამოშვება - 400.0 მლნ ლარი; სახელმწიფო ხაზინაში არსებული თავისუფალი ნაშთის გამოყენება - 347.2 მლნ ლარი.

ხადური ამბობს, რომ მხარჯავი დაწესებულებების უმრავლესობის დაფინანსება არ იზრდება. მნიშვნელოვნად იზრდება მხოლოდ შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ასიგნებები.

წარმოდგენილი პროექტის მიხედვით, 2014 წლისთვის მშპ-ს რეალური ზრდის პროგნოზი 5 პროცენტს შეადგენს, ხოლო მშპ-ს დეფლატორი 3.5 პროცენტია. ნომინალურ გამოხატულებაში მთლიანი შიდა პროდუქტი 31.2 მილიარდ ლარს შეადგენს. აღნიშნული პროგნოზებიდან გამომდინარე, ნაერთი ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები, 2014 წლის პროექტის თანახმად, 7 380.0 მლნ ლარი უნდა იყოს.

ხადურის თქმით, საგადასახადო შემოსავლების გაანგარიშებისას გათვალისწინებულია, რომ მომდევნო წლის დასაწყისში დაუბეგრავი მინიმუმის დაბრუნებაა გადაწყვეტილი, რაც 180-200 მლნ ლარს შეადგენს.

ისრაელი დასახლებების მშენებლობის გეგმას გადახედავს

ისრაელის პრემიერ-მინისტრი ბენიამინ ნეთანიაჰუ მდინარე იორდანეს დასავლეთ ნაპირზე ებრაული მოსახლეობისთვის ახალი საცხოვრებელი სახლების მშენებლობის გეგმას გადახედავს. პრემიერის თქმით, მშენებლობების გაგრძელება «მსოფლიო საზოგადოებასთან არასასურველ კონფრონტაციას უწყობს ხელს, მაშინ როცა ჩვენ ყველაფერს ვაკეთებთ, რათა ზოგიერთი ქვეყანა ირანთან საუკეთესო შეთანხმების დადებაში დავარწმუნოთ.“ ნეთანიაჰუს განცხადებაში ნათქვამია, რომ მისი განკარგულება შესასრულებლად ქვეყნის მშენებლობის მინისტრ ური არიელს გადაეცა. «ბი-ბი-სი“-ს ინფორმაციით, ადრე გავრცელდა ინფორმაცია, რომ ეს სამინისტრო დამატებით 20 000 ახალი ბინის ასაშენებლად ტენდერს აცხადებდა. ამის პასუხად პალესტინის ლიდერმა მაჰმუდ აბასმა შენიშნა, რომ თუ ისრაელი მშენებლობაზე უარს არ იტყოდა, მაშინ ეს სამშვიდობო მოლაპარაკებებს ჩაშლიდა. ცნობისათვის - ისრაელსა და პალესტინას შორის სამშვიდობო მოლაპარაკებები, ვაშინგტონის შუამავლობით, გასულ ზაფხულს განახლდა. დასავლეთ ნაპირზე ებრაული დასახლებების მშენებლობის წინააღმდეგია აშშ-ც და ევროკავშირიც.

ამერიკამ «ბოკო ჰარამი“ ტერორისტულ ორგანიზაციად აღიარა

ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტმა ნიგერიული ისლამისტური დაჯგუფება «ბოკო ჰარამი“ ტერორისტულ ორგანიზაციათა სიაში შეიყვანა. ეს კი ნიშნავს, რომ ამერიკაში ამ ორგანიზაციის ყველა ანგარიში დაიბლოკება და ამ ორგანიზაციასთან კავშირი ან მხარდაჭერა სისხლის სამართლის დანაშაულად ჩაითვლება. «ბოკო ჰარამს“ ნიგერიაში მშვიდობიან მოსახლეობაზე, არმიასა და ხელისუფლებაზე მრავალი თავდასხმის ორგანიზება ბრალდება. ამ დაჯგუფების წევრების განცხადებით, მათი მიზანი ნიგერიის ტერიტორიაზე შარიათის კანონების დამყარებაა.

იემენის «ალ ქაიდა“ შურისძიებით იმუქრება

«როიტერის“ ცნობით, არაბეთის ნახევარკუნძულის «ალ ქაიდა“ დამაში სალაფიტური სკოლის შეურაცხყოფის გამო ჰუტის შიიტ შეირაღებულ მებრძოლებს შურისძიებით დაემუქრა. იემენში უკანასკნელი კვირების განმავლობაში შიიტების ტერიტორიაზე ჰუტის და სალაფიტებს შორის დაპირისპირებას 100-ზე მეტი ადამიანი ემსხვერპლა. «ჩვენ სოლიდარობას ვუცხადებთ ჩვენს სუნიტ ძმებს. სუნიტების წინააღმდეგ თქვენი დანაშაული დაუსჯელი არ დარჩება,“ - ნათქვამია დაჯგუფების წარმომადგენელ ჰარიტ ბინ გაზი ალ-ნადარის განცხადებაში. ამ მიმართვაში მათი ბრძოლა შედარებულია სირიაში მიმდინარე ბრძოლასთან, სადაც სუნიტი ამბოხებულები პრეზიდენტ ბაშარ ალ-ასადის წინააღმდეგ იბრძვიან, რომელიც შიიტურ, ალავიტების სექტას მიეკუთვნება.

ასადის ძალები ალეპოზე კონტროლს აძლიერებენ

სირიის პრეზიდენტ ბაშარ ალ-ასადის ძალები, რომლებსაც ლიბანელი შიიტი შეიარაღებული მებრძოლები უჭერენ მხარს, ქალაქ ალეპოში წარმატებებს აღწევენ. მეამბოხეთა ჯგუფების ერთობლივ განცხადებაში აღნიშნულია, რომ სამთავრობო ძალები ლიბანური «ჰეზბოლას“, ირანის რევოლუციური გვარდიისა და ერაყის აბუ ალ-ფადლ აბას შეირაღებული მებრძოლების დახმარებით ალეპოს დასაუფლებლად წინ მიიწევენ.“ ქვეყანაში დაპირისპირება 2011 წლის მარტში დაიწყო, რასაც, არსებული მონაცემებით, 110 000 ადამიანი ემსხვეპრლა, სირიის ორი მილიონი მოქალაქე კი ლტოლვილად იქცა.

ერთსქესიანთა ქორწინება ჰავაის შტატშიც დაკანონდა

«სი-ენ-ენ“-ის ინფორმაციით, ჰავაი ამერიკის მე-16 შტატი გახდება, სადაც ერთსქესიანთა ქორწინება დაკანონდება. «დღევანდელი ხმის მიცემით ჰავაი იმ შტატებს უერთდება, სადაც აღიარებულია, რომ ჩვენს გეი და ლესბოსელ ძმებსა და დებს კანონის მიხედვით თანასწორად უნდა მოეპყრან,“ - ამის შესახებ ამერიკის პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ განაცხადა. ჰავაის გუბერნატორი შესაბამის კანონ ხელს ოთხშაბათს მოაწერს, რომელიც ძალაში 2014 წლის 1 ივნისიდან შევა. ცოტა ხნის წინ ერთსქესიანთა ქორწინება ლეგალურად ამერიკის შტატ ილინოისშიც გამოცხადდა. მსოფლიოს 16 ქვეყანაში (მექსიკის ნაწილშიც) მოქმედებს კანონი, რომელიც ერთსქესიანთა ქორწინებას კანონიერად აცხადებს. ესენი უმთავრესად ევროპისა და სამხრეთ ამერიკის ქვეყნებია.

პუტინი კორეის «ექვსეულის“ მოლაპარაკებების განახლების წინადადებით გამოდის

რუსეთი კორეის ნახევარკუნძულზე არსებულ ვითარების გამო ე.ნ «ექვსეულის“ მოლაპარაკებების განახლების წინადადებით გამოდის. ამ ექვსეულში შედიან: ორივე კორეა, აშშ, იაპონია რუსეთი და ჩინეთი. ამის შესახებ რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმირ პუტინმა სეულში ვიზიტისას განაცხადა. სამხრეთ კორეის დედაქალაქში ყოფნისას რუსეთის პრეზიდენტმა სამხრეთ კორეელ კოლეგა პაკ კინ ხესთან საერთაშორისო პოლიტიკის საკითხები განიხილა, მათ შორის კორეის ნახევარკუნძულზე არსებული ვითარებაც. «ჩვენ და სამხრეთ კორეას ერთი მიზანი გვამოძრავებს - რეგიონის ყველა ქვეყნის სტაბილურობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფა; კორეის ნახევარკუნძულის არაბირთვული სტატუსის მიღწევა. ამ პრობლემის გადაჭრა «ექვსმხრივი“ მოლაპარაკებების ფარგლებში, მხოლოდ დიპლომატიური გზებით არის შესაძლებელი. ჩვენ ამ მოლაპარაკებების რაც შეიძლება სწრაფად განახლების წინადადებით გამოვდივართ,“ - აღნიშნა პუტინმა.

სამხრეთ კორეამ და რუსეთმა რამდენიმე ხელშეკრულებასაც მოაწერეს ხელი, მათ შორის - დოკუმენტს ორ ქვეყანას შორის უვიზო მიმოსვლის შესახებ.

მოამზადა თამთა კახაძემ

უკრაინა ევროინტეგრაციის ერთი წლით გადადებისთვის ემზადება?

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

თუმცა, «მეწარმეთა ინიციატივა“ ექსპერტების ნაწილმა შეაფასა, როგორც უკრაინის ხელისუფლების მცდელობა, მოამზადოს ალიბი და საზოგადოებრივი აზრი ევროინტეგრაციის შესაძლო ჩავარდნისთვის.

უკრაინასა და ევროკავშირს შორის ასოციაციის და თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ხელშეკრულებების ხელმოწერა ვილნიუსის სამიტზე იგეგმება, რომელიც 28-29 ნოემბერს გაიმართება. თუმცა, ევროკავშირი აცხადებს, რომ შესაძლოა, შეთანხმებას ხელი არ მოეწეროს, თუ ქვეყნის ყოფილი პრემიერის იულია ტიმოშენკოს ბედი არ გაირკვევა. ტიმოშენკოს სამკურნალოდ გაშვება და გათავისუფლება ევროკავშირის უმთავრესი მოთხოვნაა. ოთხშაბათს უკრაინის უმაღლესმა რადამ 19 ნოემბრისთვის კიდევ გადადო კანონპროექტის მიღება, რომელიც ყოფილი პრემიერის საზღვარგარეთ სამკურნალოდ გაშვებას შეეხება.

უკრაინის პრეზიდენტ ვიქტორ იანუკოვიჩს ევროკავშირთან ასოციაციის შესახებ შეთანხმების ხელმოწერის ერთი წლით გადადებას სთხოვენ. მსხვილი ბიზნესისა და რეგიონების პარტიის რიგმა წარმომადგენლებმა პრეზიდენტს ამის შესახებ ჯერ ღია წერილი გაუგზავნეს, შემდეგ კი უშუალო შეხვედრის დროსაც შეეცადნენ მის დარწმუნებას. «თუ შესაძლებელია, შეთანხმების ხელმოწერა იქნებ ერთი წლით გადაიდოს. უფრო კარგად მომზადების საშუალება მოგვეცით,“ - საუბარია წერილში, რომელსაც «კომერსანტი“ აქვეყნებს.

უკრაინელი მეწარმეები და «რეგიონების პარტიის“ ის წარმომადგენლები, რომლებიც მათ ინტერესებს გამოხატავენ, უკრაინის პრეზიდენტს შეხვდნენ. მათ ითხოვეს, დაახლოებით, ერთი წელი - მაგალითად, რუსეთში შელავათიან ფასად მოწყობილობების შესაძენად და პრეზიდენტს «შეახსენეს“, რომ ევროკავშირის ბაზარზე მათ არავინ ელოდება. თვით ამ მეწარმეებმა შეხვედრის შემდეგ პრესას განუცხადეს, რომ პრეზიდენტს მათ თხოვნაზე რეაქცია არ ჰქონია და ისინი პრინციპში არც ვარაუდობდნენ, რომ ერთი შეხვედრის შედეგად ვინმე ქვეყნის სტრატეგიულ კურსს გადახედავდა. უკრაინის უმაღლეს რადაში, როგორც «რეგიონალები“, ასევე ოპოზიციაც ირწმუნება, რომ ევროინტეგრაცია დღის წესრიგიდან არ იხსნება. თუმცა ტიმოშენკოს საკითხის მმართველი პარტიის მოქმედება მიმართ სულ სხვა რამეზე მეტყველებს. თვით ექს-პრემიერის სამკურნალოდ გაშვების შეფერხების გარდა, საქმე აღძრეს მისი ადვოკატის სერგეი ვლასენკოს წინააღმდეგაც, რასაც იულია ტიმოშენკომ იანუკოვიჩის მიერ ევროპული კურსის «ჩაწიხლვა“ უწოდა.

მეწარმეების პოზიციას იზიარებს პრემიერი ნიკოლაი აზაროვი. უკრაინის საგარეო პოლიტიკის ნომერ პირველი საკითხი რუსეთთან ურთიერთობის ნორმალიზებაა, - ამის შესახებ აზაროვმა კიევში მინისტრთა კაბინეტის სხდომაზე განაცხადა. «სანიტარიული შეზღუდვები, ახალი ტექნიკური რეგლამენტების ამოქმედება ის რეალობაა, რომელსაც ვერც ერთი იდეოლოგიური ლოზუნგებით ვერ შევცვლით. ამას დამატებული გაზის, ნავთობის ფასი. ქვეყნის ბედზე პასუხისმგებელი ყველა ადამიანისთვის ცხადი ხდება, რომ ეროვნული პოლიტიკის ნომერ პირველ საკითხს რუსეთთან ურთიერთობის ნორმალიზება წარმოადგენს,“ - განაცხადა პრემიერმა. ამას გარდა, მან თქვა, რომ რუსეთის ბაზრის ალტერნატივა უკრაინისთვის არავის შეუთავაზებია და არც შესთავაზებს, შესაბამისად ესეც გასათვალისწინებელია.

უკრაინის ხელისუფლების ორმაგ თამაშზე სხვა რამეც მეტყველებს. 18 ნოემბერს დანიშნულია ევროკავშირის მინისტერიალი, რომელზეც თითქოს საბოლოო გადაწყვეტილება უნდა მიიღონ ხელშეკრულებათა გაფორმების შესახებ. არის ის ვარაუდიც, რომ ეს გადაწყვეტილება მინისტრებმა კიდევ ათი დღე არ მიიღონ, უშუალოდ ვილნიუსის სამიტამდე. ალბათ ამიტომაც გადაიდო რადაში ტიმოშენკოს საკითხის განხილვა. ოფიციალური კიევი ცდილობს, გაარკვიოს, აქვს თუ არა მანევრის საშუალება. ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრმა ლეონიდ კოჯარამ ოთხშაბათს განაცხადა, რომ ევროინტეგრაციისთვის უკრაინამ უკვე ყველა ტექნიკური მოთხოვნა შეასრულა და რჩება მხოლოდ «რაღაც პოლიტიკური საკითხები“. შესაძლოა, უკრაინის ხელისუფლებას ევროკავშირში სახელმწიფოთა იმ ჯგუფის იმედი აქვს, რომლებიც ხელშეკრულების გაფორმების მომხრენი არიან ნებისმიერ შემთხვევაში, თუნდ ტიმოშენკოს გაშვების გარეშე. ამ სახელმწიფოთა ხელმძღვანელები ან მათი ნაწილი ფიქრობს, რომ ქვეყნებს შორის ურთიერთობები ერთი ადამიანის ბედზე არ უნდა იყოს დამოკიდებული.

საინტერესოა, ევროპას იმდენი უღირს თუ არა უკრაინის რუსეთის «კლანჭებიდან გამოგლეჯა» და თან სასწრაფოდ, რომ უარი თქვას საკუთარ პრინციპებსა და ფასეულობებზე, რასაც ბოლო ორი წელია, თანმიმდევრულად ატარებს.

ოპოზიცია ღიად აცხადებს, რომ იანუკოვიჩის ხელისუფლებას ევროინტეგრაცია არ სურს. ნაციონალისტები ვარაუდობენ, რომ ორი დღის წინ სოჭში საიდუმლო ვიზიტის დროს რუსეთის პრეზიდენტი იანუკოვიჩს რაღაცას შეჰპირდა.

პარლამენტში ოპოზიციური ფრაქციები აცხადებენ, რომ ყველანაირ კომპრომისზე მიდიან და ტექსტის რამდენიმე ვარიანტი მოამზადეს, მაგრამ მმართველი პარტია ყველაფერს ბლოკავს. პარტია «უდარის» ლიდერმა ვიტალი კლიჩკომ განაცხადა, რომ თუ ეს ხელისუფლება უკან დაიხევს, ევროპასთან ასოცირების ხელშეკრულებას ხელს შემდეგი პრეზიდენტი მოაწერს. ყველა შემთხვევაში, ამ ერთი კვირის განმავლობაში უკრაინამ საბოლოოდ ან დიდი ხნით უნდა განსაზღვროს ქვეყნის პოლიტიკური კურსი.

ევროპარლამენტის მონიტორინგის ჯგუფი, პეტ კოკსის და ალექსანდრ კვასნევსკის შემადგენლობით, ისევ კიევშია. მათ რადაში განაცხადეს, რომ 19 ნოემბრამდეც დაიცდიან, თუმცა ეს უკვე ბოლო ვადაა. კვასნევსკის სიტყვებით, მათ ამ ტიპის პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღების სირთულე კარგად ესმით, მაგრამ იმედოვნებენ, რომ უკრაინას კონსენსუსისთვის პოლიტიკური ნება აღმოაჩნდება.

ფილიპინების პრეზიდენტმა მსხვერპლი „შეამცირა„

ᲘᲕᲐ ᲨᲘᲚᲐᲙᲐᲫᲔ

ფილიპინების დაზარალებულ რეგიონებში ჰუმანიტარული დახმარება უკვე დიდი მოცულობით ჩადის, მაგრამ ჯერჯერობით კვლავ პრობლემად რჩება მათი მიტანა უშუალოდ დაზარალებულებამდე, მით უმეტეს, ცენტრალურ ზონას დაცილებულ დასახლებულ პუნქტებამდე. ამის მიზეზია როგორც კომუნიკაციების არარსებობა, ასევე მაროდიორობის დიდი მასშტაბები. მთავარი დამაიმედებელი ინფორმაცია, რომელიც გუშინწინ, გვიან საღამოს გავრცელდა, ქვეყნის პრეზიდენტ ბენინო აკინოსგან გახდა ცნობილი. მისი სიტყვებით, მსხვერპლის რაოდენობა ისეთი დიდი არ არის, რაც თავიდან ივარაუდებოდა და ციფრი ათი ათასი ძალიან გადაჭარბებულია.

ბენინო აკინომ „სი-ენ-ენს“ ინტერვიუ მისცა, რომელშიც განაცხადა, რომ თავდაპირველი შეფასება ათი ათასი კაცის დაღუპვის შესახებ, ტაკლობანის პოლიციისა და ადგილობრივი ხელისუფლებისგან წამოვიდა. პრეზიდენტის სიტყვებით, მათზე, როგორც ჩანს, იმ ემოციურმა შოკმა იმოქმედა, რომელიც ტრაგედიის ეპიცენტრში მოხვედრილ ადამიანებს ახასიათებთ, როდესაც გარშემო ასეთ ნგრევას და დაღუპული ადამიანების ცხედრებს ხედავენ. ბენინო აკინოს სიტყვებით, დაღუპულია, სავარაუდოდ, 2,5 ათასი ადამიანი ანუ, დაახლოებით, ოთხჯერ ნაკლები. ოთხშაბათს გამოქვეყნებული ოფიციალური მონაცემებით, დაღუპულია 1833 ადამიანი, დაშავებულია - 2623, უკვალოდ დაკარგულად მიიჩნევა, სხვადასხვა მონაცემებით, 84-დან 700 კაცამდე. თუმცა ბენინო აკინომ ისიც თქვა, რომ მათ ჯერ არ აქვთ მონაცემები 29 დასახლებული პუნქტიდან, რომლებთანაც კავშირი ვერ მყარდება. საცხოვრებელი სახლები თითქმის 700 ათასმა ადამიანმა დაკარგა, სხვადასხვა ფორმებით დაზარალდა 11 მილიონი კაცი.

ჰუმანიტარული დახმარების რაოდენობა და მასშტაბები სულ მატულობს. ტაკლობანის ნახევრად დანგრეულ აეროპორტში ერთმანეთის მიყოლებით ჯდება საკვებით, მედიკამენტებით და სხვა პირველადი მოხმარების ნივთებით დატვირთული თვითმფრინავები. მაგრამ კომუნიკაციების უქონლობისა და წესრიგის არარსებობის გამო დახმარება ყველგან ვერ მიდის, სადაც საჭიროა. ფილიპინებში უკვე საგანგებო მდგომარეობა და არმიის მობილიზაცია გამოცხადდა სტიქიით დაზარალებულ ზონაში წესრიგის დასამყარებლად. ეს საგანგებო მდგომარეობა მთავრობას საგანგებო სახსრების დახარჯვის საშუალებასაც მისცემს.

გუშინ კიდევ რვა ადამიანი დაიღუპა საწყობის კედლის დანგრევისას, როდესაც ხალხი იქ საკვების მოსაპოვებლად შეღწევას ცდილობდა. პოლიციამ მაროდიორებისა და დამშეული ხალხის მასას წინააღმდეგობა ვერ გაუწია და საწყობიდან პირდაპირ დაიტაცეს 100 ათასი ტომარა ბრინჯი.

ფილიპინებს ამერიკის და ბრიტანეთის სამხედრო გემები უახლოვდებიან, რაზეც ჩვენ გუშინ ვწერდით. ამ ქვეყნის დასახმარებლად სპეციალისტები და ტექნიკა სულ უფრო მეტი ქვეყნიდან იგზავნება. მაგალითად, ისრაელი გზავნის საველე ჰოსპიტალს, ექიმების დიდ ჯგუფს და მაშველებს. იაპონიამაც გაგზავნა მაშველების და ექიმების ჯგუფი. ევროკავშირმა 10 მილიონი დოლარის ოდენობით სასწრაფო დახმარებაც გამოყო და გარდამავალი პერიოდისთვის სერიოზულ პაკეტს ამზადებს - პირველადი დახმარებიდან სახლების მშენებლობამდე, რათა წყვეტა და სიტუაციის გართულება არ მოხდეს.

შედარებით შესუსტებული „ჰაიანი“ კი ამჟამად ჩინეთს უტევს. იქ დაღუპულია 7 და დაკარგულია 4 ადამიანი.

პოლონეთმა რუსეთს საელჩოსთან არეულობისთვის ბოდიში მოუხადა

თამთა კახაძე

პოლონეთის პრეზიდენტმა ბრონისლავ კომოროვსკიმ პოლონეთის დამოუკიდებლობის დღეს, 11 ნოემბერს, რუსეთის საელჩოსთან მომხდარი არეულობის გამო ბოდიში მოიხადა. 11 ნოემბერს ნაციონალისტებმა ვარშავის ცენტრში მდებარე რუსეთის საელჩოში შეჭრა სცადეს, შენობას ქვები და პეტარდები ესროლეს და შესასვლელში დაცვის ჯიხური დაწვეს. «პოლონეთის სახელმწიფოს სახელით აუცილებელია ბოდიშის მოხდა. ასევე, ვაცნობიერებთ, რომ ამ ფაქტმა პოლონეთის იმიჯი სერიოზულად დააზიანა,“ - აღნიშნა პრეზიდენტმა პოლონური რადიოსთვის მიცემულ ინტერვიუში. კომოროვსკის თქმით, რუსეთის საელჩოს წინ მომხდარ ფაქტს გამართლება არ მოეძებნება: «მათ მოქმედებაზე საბოლოოდ პოლონეთის სახელმწიფო და ყველა ჩვენგანი ვაგებთ პასუხს.“ პრეზიდენტმა ასევე დაამატა, რომ «ზოგიერთი ცდილობს, მომხდარი არასწორად გამოიყენოს და პოლონეთი რუსოფობ ქვეყნად წარმოაჩინოს.“

შესაბამისი ნოტა მოამზადა პოლონეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ, რომელშიც მომხდარის გამო გამოთქმულია მწუხარება და ის რუსეთის საელჩოს გადასცა. პოლონეთში 11 ნოემბრის არეულობების მონაწილეთა გასამართლებაც დაიწყო. გუშინ ერთ ადამიანს 1,5 ათასი ზლოტის (დაახლოებით, 500 დოლარი) ოდენობის ჯარიმა შეუფარდეს. მეორე 6 თვით ჩასვეს ციხეში და სამი ადამიანისთვის კომპენსაციად 400 ზლოტის გადახდაც დააკისრეს. ცოტა ხანში კიდევ ოთხი სასამართლო პროცესი გაიმართება.

თუმცა, რუსეთში მაინც განხორციელდა «სიმეტრიული თავდასხმა“ პოლონეთის საელჩოზე. რუსმა ნაციონალისტებმა, კერძოდ ედუარდ লიმონოვის «დრუგაია როსიას“ წევრებმა პოლონეთის საელჩოს ეზოში პეტარდები და კვამლმდენი ყუმბარები ჩაყარეს. ამას გარდა, გაშალეს იმპერიული შინაარსის პლაკატები - მაგალითად, «რუსეთი ვარშავიდან პორტ-არტურამდე!“ პოლიციამ ოთხი სამართალდამრღვევი დააკავა. მათ ადმინისტრაციული კოდექსის დარღვევაში დასდეს ბრალი. ეს მუხლი ითვალისწინებს ჯარიმას ან 15 დღით პატიმრობას. პოლონეთის საელჩოს შენობა არ დაზიანებულა და მის წინ გამართული აქციაც ხალხმრავალი არ ყოფილა.

ეროვნული მუზეუმის თანამედროვე ხელოვნების გამოფენები

პირველი გვერდიდან



ლევან მინდიაშვილის ნამუშევარი

გამოფენა წარუდგენს დამთვალიერებელს ერნა დოლმაზოვას, როგორც ტრადიციული «ქალაქურ-თბილისური კულტურის“ ახალი თაობის ხელოვანს, რომლის ნამუშევრებიც დამახასიათებელი მხატვრული ესთეტიკით გამოირჩევა.

შ. ამირანაშვილის სახელობის საქართველოს ხელოვნების მუზეუმში კი ქართველი ემიგრანტი არტისტები და მათი უცხოელი მეგობრები ერთად გვეპატიჟებიან პროექტზე, რომელსაც მემკვიდრეობის სხვადასხვაგვარი აღქმა და გააზრება უდევს საფუძვლად. დღეს, 18:00 საათზე ხელოვნების მუზეუმი საერთაშორისო მულტიმედიური გამოფენას „მემკვიდრეობას“ ხსნის.

პროექტი მიზნად ისახავს საზოგადოების ფართო მასებთან დიალოგის დაწყებას და ისტორიული, სოციალური თუ კულტურული სტრუქტურების მნიშვნელობის ხაზგასმას იდენტობის ჩამოყალიბების საკითხში.

აღნიშნულ პროექტში მონაწილეობენ საზღვარგარეთ მოღვაწე ქართველი ხელოვანები და სპეციალური სტუმრები. მათ შორის ქრისტიან ტონჰაისერი (ბუენოს აირესი), ლევან მინდიაშვილი (მოღვაწეობს ნიუ იორკსა და ბუენოს აირესში), უტა ბექაია (ნიუ იორკი), ირაკლი ბუგიანი (დუსელდორფი) და ტატო ახალკაციშვილი (თბილისი). ავტორები მიეკუთვნებიან ქართველი ხელოვანების იმ თაობას, რომელიც საბჭოთა რეჟიმის ბოლო წლებში დაიბადნენ და საკუთარ თავზე გამოსცადეს სხვადასხვა სისტემებზე გადასვლის სირთულეები. წარსული გამოცდილება მნიშვნელოვნად აისახება ავტორთა შემოქმედებაზე.

აღნიშნული პროექტის ფარგლებში დაგეგმილია რიგი საგანმანათლებლო ღონისძიებები. მონაწილე ხელოვანები გამართავენ საჯარო ლექციებსა და დისკუსიებს სადაც იმსჯელებენ მემკვიდრეობის თემის იმ ასპექტებზე, რომლებსაც მათ ნამუშევრებში გაესვა ხაზი. ამასთანავე მოეწყობა სპეციალური ვიზიტები სკოლის მოსწავლეებისა და სტუდენტებისათვის. გამოფენა გასტანს 2013 წლის 24 ნოემბრის ჩათვლით.

ვინ მოკლა როჯერ ეკროიდი



სოფიო ნემსაძე

დეტექტიური ჟანრის მწერალთა მსოფლიო ასოციაცია (CWA) წელს 60 წლის გახდა. ამ თარიღთან დაკავშირებით ასოციაციის საორგანიზაციო კომიტეტმა ყველა დროისა და ხალხის საუკეთესო დეტექტიური ნაწარმოები, ავტორი და სერია დაასახელა. აღმოჩნდა, რომ ასოციაციის წევრებსა და გამოკითხვაში მონაწილე მწერლებს ყველაზე მეტად აკატა კრისტის «როჯერ ეკროიდის მკვლელობა» მოსწონთ, საუკეთესო ავტორი კვლავ მისის კრისტია, ხოლო საუკეთესო დეტექტიური სერია შერლოკ ჰოლმსის ისტორიებია.

«როჯერ ეკროიდის მკვლელობის» სიუჟეტი გამოგონილ ინგლისურ სოფელ კინგზ ებოტში ვითარდება. თხრობა ექიმ ჯეიმს შეპარდის მხრიდან ხდება, რომელიც ამ კონკრეტული საქმის გამოძიებისას ერკულ პუაროს ასისტენტი გახლავთ. ნაწარმოები არა როჯერ ეკროიდის, არამედ მდიდარი ქვრივის, მისის ფერარის სიკვდილით იწყება, რომელმაც სოფლის მოსახლეობის აზრით წლებით ადრე ქმარი მოკლა. ყველა ფიქრობს, რომ მისის ფერარიმ თავი მოიკლა, თუმცა ეს აზრი მაშინვე იცვლება, როდესაც ასევე ქვრივს, მისის ფერარის საქმრო როჯერ ეკროიდს კლავენ. მკვლელობაში მთავარი ეჭვმიტანილი ამ უკანასკნელის რძალი გახლავთ, რომელსაც იპოქონდრია, ნევროზი და უამრავი ვალი ერთნაირი დოზით აწუხებს. ასევე ეჭვმიტანილები არიან მისი შვილი, მაიორი ბლანტი, ეკორიდის პირადი მდივანი, მკვლელობამდე ერთი დღით ადრე დათხოვნილი მოსამსახურე, გარდაცვლილის მემკვიდრე და კიდევ რამდენიმე პიროვნება.

საინტერესოა, რომ ამ რომანის დაწერა აგატა კრისტის საერთოდ არ უნდოდა, მიაჩნდა, რომ ზედმეტად ჩახლართული ისტორია და ბევრი ეჭვმიტანილი მკითხველს დაღლიდა და წიგნის წაკითხვის სურვილს დაუკარგავდა. საბედნიეროდ, ასე არ მოხდა 1929 წელს «როჯერ ეკროიდის მკვლელობის» პირველი გამოცემა გამოვიდა.

წიგნს თავიდან საკმაოდ თავშეკავებული კრიტიკა შეხვდა. გაზეთები მას აგატა კრისტის ყველაზე უგემოვნო იმედგაცრუებას უწოდებდნენ, ხოლო კოლეგებმა ავტორი რონალდ ნოკსის მიერ შემუშავებული «დეტექტიური ნაწარმოების ათი მცნების» დარღვევაში დაადანაშაულეს. კერძოდ შემდეგი მუხლის უგულვებელყოფაში: «დამნაშავე უნდა იყოს ნაწარმოების დასაწყისში ნახსენები პერსონაჟი და არ უნდა იყოს მთხრობელი ანუ ის, ვისი აზრების მსვლელობასაც მკითხველი ეცნობა». აგატა კრისტის ბიოგრაფები იმასაც ამტკიცებენ, რომ ამ რომანის გამოსვლის შემდეგ ის დეტექტივების ავტორთა კლუბიდანაც გარიცხეს, თუმცა ეს ფაქტი დადასტურებული არ გახლავთ.

გავიდა დრო და რომანის მიმართ დამოკიდებულება რადიკალურად შეიცვალა, რაც შეიძლება თავად მკითხველის განწყობისა და გემოვნების ცვლილებასაც მივაწეროთ. თანამედროვე მკითხველს აღარ აკმაყოფილებს «ათი მცნების» ჩარჩოებში მოქცეული ისტორია, მას მეტი ინტრიგა და მოვლენათა მოულოდნელი შემოტრიალება ხიბლავს, ამრიგად სულაც არ გახლავთ გასაკვირი, რომ ოდესღაც უარყოფილი რომანი ამჯამად საუკეთესოთა შორის საუკეთესოა. მეტიც, «როჯერ ეკროიდის მკვლელობით» აგატა კრისტიმ დაამტკიცა, რომ მკითხველს ნებისმიერი პერსონაჟის მიმართ უნდა გააჩნდეს ეჭვი და იმის მოლოდინი, რომ ამბის მთხრობელიც შეიძლება დაუდობელი მკვლელი აღმოჩნდეს.

აგატა კრისტი თავის მხრივ ასე ამართლებდა ექიმ შეპარდის პოზიციას: ის არ მალავს სიმართლეს, უბრალოდ ბოლომდე არ გვიმხელს, თუ სად იყო მკვლელობის დროს ან უბრალოდ ავიწყდება. გარდა ამისა, პერსონაჟთა სიმრავლიდან გამომდინარე რომანში ბევრი თანაისტორია ვითარდება, რაც მკითხველს ძირითადი ხაზისგან გადახვევის საშალებას აძლევს. ყველაზე ირონიული კი ის გახლავთ, რომ ექიმი შეპარდი მკითხველივით ოცდება, როდესაც საკუთარ ორსახოვნებას იაზრებს.

CWA-მ მსგავსი გამოკითხვა ბოლოს 1998 წელს ჩაატარა. მაშინდელი მონაცემებით ყველა დროის საუკეთესო დეტექტიურ ნაწარმოებად დოროთი ლი სეიერსის «ცხრა თერძი» დაასახელეს, საუკეთესო ავტორად რაიმონდ ჩენდლერი, ხოლო სერიის ნომინაციაში ამ უკანასკნელის ისტორიებმა გაიმარჯვა, რომელთა მთავარი გმირიც დეტექტივი ფილიპ მარლოუ გახლავთ.



ბათუმის ნავთობტერმინალი (ბნტ) გასაყიდად წარმოადგენს შემდეგ ობიექტს:
სპორტული დარბაზი
ზონა: 05, სექტორი 09; კვარტალი 31; ნაკვეთი 004;
მისამართი: ქ. ბათუმი, მაიაკოვსკის ქ. 59/65 ?2.
ნაკვეთის ფართობი: 1600 კვ.მ.
შენობის ფართობი: 1328,25 კვ.მ.
სასარგებლო ფართი: 1782,35 კვ.მ.

გასაყიდი ქონების ღირებულებაა - **517 463,75** აშშ დოლარი დღგ-ს ჩათვლით.
სატენდერო წინადადებების წარდგენის ბოლო ვადაა - 15.11.2013 წ.
დამატებითი ინფორმაციისთვის, აქტივებთან გაცნობისა და აგრეთვე სატენდერო წინადადებების წარდგენისათვის, გთხოვთ მიმართოთ ირაკლი მაღლაფერიძეს
მობ: (+995) 574.55.35.33
მაიაკოსვკის ქ. N4, ბათუმი, საქართველო
ბათუმის ნავთობტერმინალი

დანართი №1. (2 ფურცელი)
დამტკიცებულია
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის
2013 წლის " 12 ნოემბრის "
№ ს-339 ბრძანებით

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს განცხადება სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის ჩატარების შესახებ

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გამცემია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო ელექტრონული აუქციონის (www.eauction.ge) მეშვეობით, გამარჯვებულად ჩაითვლება ლიცენზიის ის მაძიებელი, რომელიც აკმაყოფილებს აუქციონის პირობებსა და მოთხოვნებს და ყველაზე მეტ თანხას შესთავაზებს სახელმწიფოს.

ობიექტი № 1		
ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება		აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო
1	საიდენტიფიკაციო ნომერი	245444844
2	მისამართი/ტელეფონი	ქ. ბათუმი, კომახიძის ქ № 119 / 0422 27 35 10
3	სარგებლობის ლიცენზიის სახე	სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია
4	სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის	ა) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით). ბ) ობიექტის დამუშავება უნდა მოხდეს მაღალი ჰიფსომეტრიული ნიშნულიდან ქვემოთ, სამთო საქმისათვის მიღებული წესების დაცვით. გ) ობიექტის დამუშვების წინ მოხსნილი ნიადაგი და ფუჭი ქანები დასაწყობდეს ექსპლოატაციის შემდგომ ტერიტორიის რეკულტივაციის მიზნით; დ) ობიექტის ბურღვა აფეთქებითი მეთოდით დამუშავების შემთხვევაში შერჩეული უნდა იქნეს მუხტების ოპტიმალური სიდიდე, რომელიც მაქსიმალურად გამორიცხავს აფეთქებისდან გამოწვეულ ნეგატიურ მოვლენებს; ე) დაუშვებელია ობიექტის დამუშავების დროს მოხსნნილი ფუჭი ქანების ჩაყრა მდ. კინკიშას და მისი შენაკადების კალაპოტში; ვ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ დადგენილი მოთხოვნები.
5	სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი	ქობულეთის მუნიციპალიტეტი, სოფელ კვირიკეს მიმდებარე ტერიტორია, „კინკიშის აჰდეზიტო-ბაზალტის საბადო"- (კატეგორია - B,C_1, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა **809 000** $მ^3$,)
6	სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა	ქობულეთის მუნიციპალიტეტი, სოფელ კვირიკეს მიმდებარე ტერიტორია,
7	აუქციონის საწყისი ფასი	158 405 ლარი
8	ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)	15 840,50 ლარი
9	უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკლებელი	32 200 ლარი
10	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2013 წლის 15 ნოემბრიდან დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2013 წლის 18 დეკემბერს დღის 18.00 საათზე
11	აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	ელექტრონული აუქციონი იწყება 2013 წლის 18 დეკემბერს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2013 წლის 18 დეკემბერს დღის 18.00 საათზე
12	სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა	7 წელი
13	სხვა მონაცემები	აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში

ცვლილება ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადებაში, გაზეთი „24 საათი", №208, 08-11-2013 / განცხადების სხვა პირობები რჩება უცვლელი	№ GF0289
შემსყიდველი ორგანიზაცია	ა(ა)იპ - გლობალური პროექტების განმახორციელებელი ცენტრი
შესყიდვის ობიექტის დასახელება	რესპირატორი /ნიღაბი
შესყიდვის რაოდენობა ან მოცულობა	რესპირატორი სარქველის გარეშე 7000 ცალი, რესპირატორი სარქველით 12000 ცალი; იხ. სატენდერო დოკუმენტაცია
მოწოდების ვადა	ხელშეკრულების გაფორმებიდან 25 დღის განმავლობაში; იხ. სატენდერო დოკუმენტაცია
შეთავაზების ფასის კლების ბიჯი	510.00 ლარი

Amendment in tender announcement, the newspaper „24 hours", №208, 08-11-2013 / Any other terms are unchangeable	№ GF0289
Procuring organization	Non-entrepreneurial (Non-commercial) Legal Entity – Global Projects Implementation Center
Name of the procurement object	Respirators
Volume or amount of procurement	Respirators without valve 7000 pieces, Respirators with valve 12000 pieces; See the bid documents
Term of delivery	25 calendar days upon the contract execution; See the bid documents
Bid price reduction step	510.00 GEL

მაიამი, ბისლი, ელისი

ზურა თალაკვაძე



ამერიკული კალათბურთი ჯერ პირველ დონეზეა. ორგანიზაციები ორგანიზებულად იწყებენ სეზონს და ერთ თვეში ფავორიტების კონტურები მოიხაზება. ძველი ფავორიტები ძველი ბიჭებით („სან ანტონიო“, „მაიამი“, „ინდიანა“, „ოკლაჰომა“) მოსაგებს მოიგებენ და თუ ლიდერები არ დაიშლებიან, აღმოსავლეთის და დასავლეთის ბოლო სერიებში ეს გუნდები შევლენ. ლებრონ ჯეიმსი, დუეინ უეიდი და კრის ბოში ფლორიდაში დაისვენებენ, ტიმ დანკანი ვირჯინიის კუნძულებზე გადავა და მეგობრებს დონატებს ჩაუტანს. ძველი ლუის სკოლა ძველ ინდიანაპოლისში ბევრს გაიცნობს და ბევრს ვერ დაიმახსოვრებს. კევინ დიურანი იქ, თავის ტერიტორიაზე, ოკლაჰომაში ისევ დაიღლება - 1.დროით, 2.რას უესთბრუქით, 3.ლებრონის სარეკლამო რგოლებით, 4.ნაგებით. და ფინალში შარშანდელი ფინალისტები გავლენ. ვინ არის წინააღმდეგი? რეი ალენიც ცოცხალია და დანი გრინის აკაესიც დასაცლელია. მარკო ბელინელიც უკეთ უნდა გავიცნოთ. უკვე მაგარი სეზონია. რეგულარული უფრო საინტერესო იქნება. პირველი ეტაპის შემდეგ დაიწყება ენერგიის გადანაწილების პროცესი. და მოვა აპრილი. თავისი ფლეი ოფით, პერსპექტივით. მანამდე ბოლო დღის რამდენიმე საინტერესო ნიუანსი გავიაროთ. სამიდან ორი „მაიამიზეა“.

1. მაიკლ ბისლი მოუსვენარი ადამიანია. მისტერ ბისლი ადრე (2008) დრაფტის მეორე ნომრად „მაიამიმ“ აიყვანა და ორი სეზონის შემდეგ მსროლელი „მინესოტაში“ მიდის. და ფლორიდაში ბრუნდება. „მილუოკისთან“ მაიკლს 19 წუთი აჩუქეს. და მაიკლმა 19 ქულა დასვა. ბრავო, ძალიან კარგია! „მაიამის“ ისტორიაში ეს მეორე შემთხვევაა, როდესაც მოთამაშე 20 წუთზე ნაკლებში 19 ქულას აგროვებს. 2009 წლის 27 დეკემბერს ჯერმეინ ო`ნილმა 19 ქულა შეაფუთვინა. ჯერმეინმა ეს თავის ყოფილ გუნდს, „ინდიანას“ გაუკეთა. „მაიამიმ“ „ბაქსს“ აწყენინა და 118:95 მოუგო. ისე, რომ არ გაუფრთხილებია. „მაიამის“ სტილში. „მაიამი“ ძირითადად კარგი ახალგაზრდებით ივსება. მისტერ ბისლიც კარგი, ნიჭიერი და ჩუმი ახალგაზრდაა და თუ „მაიამიში“ ალკოჰოლზე არ გადავა, ჩემპიონი გახდება. ლებრონთან და უეიდთან ერთად თამაშიც არ არის უინტერესო. ყოველ შემთხვევაში, ამბობენ, რომ არ არის და მე არ ვიცი...

2. „მაიამიმ“ „მილუოკისთან“ სროლების 58.2% (79/46) გამოიყენა. მანამდე, წინა ტესტში, „ჰიტმა“ „ბოსტონთან“ წაგო და 71/41 (57.7 %) პროცენტით ისროლა. ბოლო გუნდი, რომელმაც ზედიზედ ორ თამაშში სროლების 57 და მეტი პროცენტი გამოიყენა, იყო „მაიამი“. 2012 წლის დეკემბერში. „ჰიტის“ ისტორიაში ხუთი ერთნაირი სერია იყო. ფლორიდაში სოლიდური და მოტივირებული შემადგენლობა დატოვეს. არ არის გუნდში მაიკ მილერი, რომელიც „მემფისში“ დაბრუნდა. ლებრონის სკვერში შეისეირნეს სხვებმა, ლებრონი გაიცნეს და თუ გრეგ ოდენიც ადგება, ჯეიმსს ჩემპიონობის შენარჩუნების მეტი შანსი ექნება. „მაიამი“ არავის არ უყვარს. „ჰიტის“ გულშემატკივრების გარდა. შარშან ძალიან რთული იყო. წელს უფრო რთული სეზონი იქნება. „მილუოკისთან“ ლებრონმა 33 ქულა წამოიღო და ბოლო მეოთხედში საერთოდ არ უთამაშია. ლებრონი ასრულებს და „მაიამი“ მშვიდად იგებს.

3. მონტა ელისი „დალასში“ ცოტა ზედმეტია. ყოველ შემთხვევაში, მე ასე ვფიქრობ. და დირკ ნოვიცკი „დალასია“. ელისი ნოვიცკისთან ვერ ააწყობს. ვერანაირად ვერ უნდა ააწყოს. ელისი ინდივიდუალიზმზე შეყვარებული სწრაფი სთრითბოლელია და ნოვიცკი ლეგენდაა. მონტა ელისმა „მავერიქსის“ ბოლო თამაშში, „ვაშინგტონთან“, 105:95 რომ დამთავრდა, 19 ქულა აკრიფა. დირკთან ერთად თავის გუნდში ყველაზე შედეგიანი იყო. ელისი ზედიზედ მეხუთედ გახდა „დალასის“ ყველაზე შედეგიანი მოთამაშე. მონტასთვის ეს პირველი სეზონია ჰერ ნოვიცკის გუნდში. ბოლო 15 სეზონში ელისი მხოლოდ მეორეა, ვინც ზედიზედ ხუთ თამაშში „დალასში“ ყველაზე შედეგიანი იყო. და ამ სიაში არ შედის ნოვიცკი. შარშან, ნოემბერში, იგივე გააკეთა ოუ ჯეი მაიომ და იმ სერიის დროს დირკი ტრავმის გამო ისვენებდა. დირკ ნოვიცკიმ ყველა დროის მექულეებში ჯერი უესტს გადაუჯოკრა. „მილუოკისთან“ მატჩის შემდეგ გერმანელს რეგულარულებში უკვე 25 197 ქულა აქვს. შემდეგია რეჯი მილერი. «პეისერზის» ლეგენდამ 25 279 ქულით დახურა კარიერა. დირკი ამ ბიჭსაც გაასწრებს.

მოკლედ, ამერიკული კალათბურთი ჯერ პირველ დონეზეა. ორგანიზაციები ორგანიზებულად იწყებენ სეზონს და ერთ თვეში ფავორიტების კონტურები მოიხაზება. ძველი ფავორიტები ძველი ბიჭებით („სან ანტონიო“, „მაიამი“, „ინდიანა“, „ოკლაჰომა“) მოსაგებს მოიგებენ და თუ ლიდერები არ დაიშლებიან, აღმოსავლეთის და დასავლეთის ბოლო სერიებში ეს გუნდები შევლენ. ლებრონ ჯეიმსი, დუეინ უეიდი და კრის ბოში ფლორიდაში დაისვენებენ, ტიმ დანკანი ვირჯინიის კუნძულებზე გადავა და მეგობრებს დონატებს ჩაუტანს. ძველი ლუის სკოლა ძველ ინდიანაპოლისში ბევრს გაიცნობს და ბევრს ვერ დაიმახსოვრებს. კევინ დიურანი იქ, თავის ტერიტორიაზე, ოკლაჰომაში ისევ დაიღლება და ჩვენ დავისვენებთ. ამ კალათბურთით ვერ დაიღლები.

საინფორმაციო ცნობა

შევიდეს ცვლილება გაზეთ “24 საათი"-ს 2013 წლის 12 ნოემბრის N212-ში გამოქვეყნებულ საინფორმაციო ცნობაში და
აუქციონიდან ამოღებულ იქნეს ავტომანქანა “ნივა" ვაზ21214, სახ. ნომერი OVO-927.
მარნეულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობა

შპს ევროპისსასწავლოუნივერსიტეტი" აცხადებს ღია კონკურსს აკადემიური თანამდებობების (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ პროფესორი, ასისტენტი) დასაკავებლად ჯანდაცვის მიმართულების სტომატოლოგიის სპეციალობით, შემდეგი სასწავლო კურსების წასაკითხად:

მედიცინის საბაზისო სასწავლო დისციპლინები
პროფესორი - 1ვაკანსია;
ასოცირებულიპროფესორი -2ვაკანსია;
ასისტენტ-პროფესორი - 2ვაკანსია;
ასისტენტი - 2 ვაკანსია

სტომატოლოგიის საბაზისო სასწავლო დისციპლინები
პროფესორი - 1ვაკანსია;
ასოცირებულიპროფესორი -2ვაკანსია;
ასისტენტ-პროფესორი - 2ვაკანსია;
ასისტენტი - 2 ვაკანსია

სტომატოლოგიის კლინიკური სასწავლო დისციპლინები
პროფესორი - 1ვაკანსია;
ასოცირებულიპროფესორი -2ვაკანსია;
ასისტენტ-პროფესორი - 2ვაკანსია;
ასისტენტი - 2 ვაკანსია

საკონკურსოკრიტერიუმები
1) დოქტორის, ანმასთანგათანაბრებულიაკადემიური/სამეცნიეროხარისხი მიმართულების/დარგის შესაბამისად. ასისტენტის თანამდებობაზე მიიღება ასევე დოქტორანტის სტატუსის მქონე პირი.
2) სამეცნიერო-პედაგოგიურიმუშაობისგამოცდილება - ავტორიზებული, ანმასთანგათანაბრებულისტატუსისმქონეუმაღლესსაგანმანათლებლოდაწესებულებაშიარანაკლებ 6 წლისმუშაობისგამოცდილება პროფესორის, და არანაკლებ 3 წლის მუშაობის გამოცდილება - ასოცირებული პროფესორის ვაკანსიისათვის.
3) შესაბამისდარგშისამეცნიეროპუბლიკაციები, გამოქვეყნებული უკანასკნელი 10 წლისგანმავლობაში, არანაკლებ 2-სა სრული და ასოცირებული პროფესორისათვის, არანაკლებ 1-სა ასისტენტ პროფესორისთვის და ასისტენტისათვის.

დამატებითიკრიტერიუმები
შესაბამისდარგშიმუშაობისპრაქტიკულიგამოცდილება
სასწავლოკურსისსაგანმანათლებლოპროგრამის (სილაბუსის) შემუშავებისგამოცდილება
მონაწილეობაეროვნულდასაერთაშორისოსამეცნიეროკონფერენციებში
სამეცნიეროსტიპენდიებიდაგრანტები
პროფესიულიგანვითარებისღონისძიებებშიმონაწილეობა;
ერთ-ერთიუცხოენისცოდნა.
ინფორმაციულიტექნოლოგიებისცოდნა.
აკრედიტებული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში მონაწილეობა

საკონკურსოდოკუმენტაცია:
კონკურსშიმონაწილეობისმსურველივალდებულიასაბუთებისწარმოდგენისეტაპზეკომისიასწარმოუდგინოსშემდეგიდოკუმენტაცია:
1. განაცხადი კონკურსსი მონაწილეობის მისაღებად შესაბამისი დარგისა და აკადემიური თანამდებობის მითითებით (ივსება ადგილზე, საკონკურსო კომისიის სამდივნოში)
2. ავტობიოგრაფია (CV) (ელექტრონული ან/დაბეჭდვითიფორმით)
3. პირადობისდამადასტურებელიმოწმობის, კვალიფიკაციის დამადასტურებელი საგანმანათლებლო დოკუმენტის/დოკუმენტების, პროფესიული გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტაციის ასლები
4. 4 ფოტოსურათი, ზომით 3x4.
5. საკონკურსოთანამდებობის/დარგის ადექვატურისამეცნიერონაშრომები, ან მათი ასლები,გამოქვეყნებულიბოლო 10 წლისგანმავლობაში;
6. კონკურსის დამატებით კრიტერიუმებთან კონკურსანტის შესაბამისობის დამადასტურებელი ინფორმაცია/დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში).

კონკურსი ჩატარდება შპს ევროპისსასწავლოუნივერსიტეტის" აკადემიურითანამდებობებზე კონკურსისჩატარებისწესის" შესაბამისად და მოიცავს 2 ეტაპს:
1. კონკურსანტების მიერ წარმოდგენილი საბუთების გადარჩევა-შეფასება
2. საკონკურსო კომისიასთან გასაუბრება

კონკურსის ვადები
1. კონკურსი გამოცხადებულია 2013 წლის 11 ნოემბრიდან.
2. აკადემიურითანამდებობისდაკავებისმსურველთასაბუთებისმიღება იწარმოებს 2013 წლის16 დეკემბრიდან 27 დეკემბრის ჩათვლით.
3. კონკურსის პირველი ეტაპი - საბუთების გადარჩევაჩატარდება 2014წლის9-10იანვარს;
4. კონკურსის მეორე ეტაპი - საკონკურსო კომისიასტან გასაუბრება - ჩატარდება 2014 წლის 16-17 იანვარს;
5. კონკურსისშედეგებიგამოცხადდება 2014წლის20 იანვარს.

დაინტერესებულმა პირებმა საკონკურსო დოკუმენტაციის პაკეტი უნდა წარადგინონ საკონკურსო კომისიის სამდივნოში **2013 წლის16დეკემბრიდან 27 დეკემბრისჩათვლითანგამოაგზავნონელექტრონულმისამართზე** konkursi@esu.edu.ge

საკონტაქტო ინფორმაცია კონკურსანტებისათვის
კონკურსანტთაგანაცხადებისმიღებას, რეგისტრაციას, ასევეკონკურსანტთაკონსულტირებასუზრუნველყოფსევროპისსასწავლოუნივერსიტეტისსაკონკურსოკომისიისსამდივნო.

საკონკურსოკომისიისსამდივნოსსაკონტაქტორეკვიზიტები:**თბილისი, ჭყონდიდელისქ.N26. ტელ: 2141181; 595931030**

სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებელი" აცხადებს ღია აუქციონს მის საკუთრებაში არსებულ მოძრავ ქონებაზე. (რკინის ჯართი- 23,286 ტონა; ალუმინის ჯართი - 176,63 კგ; სპილენძის ჯართი-38,47 კგ) დაწვრილებითი პირობები იხილეთ ვებ-გვერდზე WWW.GPB.GE (07.11.2013 განცხადება ღია აუქციონის ჩატარების შესახებ). საკონტაქტო პირი: ილია ლომსაძე 577564157.

რიჩარდ ნორლანდი ამერიკელი მორაგბეების მასტერკლასს დაესწრო

აშშ-ის მორაგბეთა ნაკრები, რომელსაც შაბათს რუსთავის ახალ მოედანზე საქართველოსთან ტესტ-მატჩი ელის, რუსთავში, კლუბ „ხარებს“ ეწვია და მასტერკლასი ჩაუტარა. ამერიკელ მორაგბეებთან ერთად მოედანზე იყვნენ ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი საქართველოში რიჩარდ ნორლანდი, საელჩოს წარმომადგენლები და რუსთავის მერი დავით ჯიქია.

რიჩარდ ნორლანდს მასპინძლებმა რუსთავის „ხარების“ მაისური გადასცეს საჩუქრად. სანაცვლოდ თვითონაც მიიღეს აშშ-ის ნაკრების მაისური.

„საქართველოსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს მრავალმხრივი ურთიერთობა გვაქვს. ერთი დღე ვიყავით ბათუმში, სადაც ამერიკული გემია ჩამომდგარი, მეორე დღეს ვმასპინძლობთ ამერიკის მორაგბეთა ნაკრებს, რომელიც ჩამოსულია საქართველოს ნაკრებთან საჩვენებელი მატჩის ჩასატარებლად. გვიხარია, რომ ვართ რუსთავის „ხარების“ მოედანზე, სადაც ამ გუნდის მაისური გადმომცეს. ამერიკის ნაკრების მოთამაშეები მოვიდნენ აქ, რათა ბავშვებთან ვარჯიში ჩაატარონ. როგორც ჩანს, რაგბი ის სფეროა, რომელშიც ჩვენს ორ ქვეყანას ბევრი რამ აქვს საერთო. საქართველოს კარგი გუნდი ჰყავს, ხშირად იმარჯვებს. მოუთმენლად ველით მატჩს საქართველოსა და ამერიკის ეროვნულ ნაკრებებს შორის, რომელიც შაბათს რუსთავის მოედანზე ჩატარდება“, - თქვა რიჩარდ ნორლანდმა.

ამერიკის ნაკრების ვიცე-კაპიტანმა მაიკლ პეტრომ იმედი გამოთქვა, რომ რუსთაველ ბავშვებს დღევანდელი მასტერკლასი შემდგომ სპორტულ კარიერაში გამოადგებათ: „შესანიშნავია, რომ დღეს თბილისის გარეთ ვიმყოფებით და ვხედავთ რაგბით გატაცებულ ამდენ ბავშვს. ისინი გულანთებული ვარჯიშობენ. დღეს ჩვენ მათთან ერთად ვმეცადინეობთ - ვაკეთებთ ისეთ ელემენტარულ ილეთებს, როგორიცაა შებოჭვა, შერკინება. იმედი გვაქვს, რომ დღევანდელი ვარჯიში მათ მომავალ კარიერაში წაადგებათ“.

რუსთავის „ხარების“ სტადიონზე საქართველოსა და ამერიკის ეროვნული ნაკრების მატჩი 16 ნოემბერს 14 საათზე დაიწყება. რუსთავის მერის, დავით ჯიქიას განცხადებით, სტადიონი მატჩისთვის მზად არის.

„რუსთავის რაგბის სტადიონი ახალია, კარგ მდგომარეობაშია. შაბათის მატჩისთვის მზად ვართ. ვფიქრობთ, არ შევრცხვებით“, - განაცხადა დავით ჯიქიამ.

საქართველოს მორაგბეთა ნაკრებმა კანადასთან 19:15 მოგებული მატჩის შემდეგ ერთი დღე დაისვენა, ორშაბათიდან კი ვარჯიში განაახლა. თუმცა, ჩვენთვის უხერხულ მეტოქესთან რამდენიმე მოთამაშე დაგვაკლდება.

კანადასთან მატჩის დროს მერაბ კვირიკაშვილმა თითი მოიტეხა. შეძლებს თუ არა თამაშს, ჯერჯერობით გაურკვეველია. როგორც ცნობილია, ტრავმის მიუხედავად, მას მოედანზე გასვლა სურს. ფეხი დაიშავა გუნდის კაპიტანმა ირაკლი მაჩხანელმაც. ვიქტორ კოლელიშვილს კი, კანადელებთან ატეხილი ჩხუბის გამო, ერთთვიანი დისკვალიფიკაცია აქვს. ასე რომ, შაბათს რუსთავში საქართველოს ნაკრები გადახალისებული შემადგენლობით ითამაშებს.

სანიკიძემ და შერმადინმა „სარაგოსას“ საფრანგეთში ვერ უშველეს

„სარაგოსას“ მარცხი ევროთასის გათამაშებაში - ვიქტორ სანიკიძემ და გიორგი შერმადინმა ესპანურ გუნდს საფრანგეთში ვერ უშველეს. სარაგოსელებმა „გრაველინთან“ მატჩი 67:85 წააგეს. ქართველების გუნდი ბოლო მეოთხედის წინ 7 ქულით იყო წინ, მაგრამ ბოლო პერიოდში 5:30 წააგო და შეხვედრაც დიდი სხვაობით დათმო. ქართველები სასტარტო ხუთეულში იყვნენ. სანიკიძემ შერმადინზე მეტი - 24,23 წუთი ითამაშა და 9 ქულას, 8 მოხსნას, 1 პასს, 1 ჩაჭრას და 1 დაფარებას მოუყარა თავი. ვიქტორმა 7-დან 3 ორქულიანი და 1 სამიანი ჩააგდო. სარაგოსელთაგან შედეგიანობით პერე ტომასის შემდეგ სანიკიძე იყო.

შერმადინი შედარებით მოკრძალებულად გაისარჯა. 20 წუთში გიორგიმ 5 ქულა, 5 მოხსნა და თითო პასი, ჩაჭრა და დაფარება მიითვალა, ბურთი კი 4-ჯერ დაკარგა. ქართველმა ცენტრმა 5-დან 2 ორქულიანი და 2-დან 1 საჯარიმო ჩააგდო.

მომდევნო ტურში, 20 ნოემბერს, „სარაგოსა“ სტუმრად ბელგიურ „მონსს“ შეხვდება.

D ჯგუფი

გრაველინი	3	1	283	257	26
ალბა	3	1	298	277	21
სარაგოსა	2	2	319	303	16
ვირტუსი	2	2	310	296	14
ტელეკომი	2	2	313	327	-14
მონსი	0	4	247	310	-63

მარსაგიშვილსა და მაქარაშვილს 6 თვით თავისუფლება შეეზღუდათ

პირველი გვერდიდან

ყოველ შემთხვევაში, ფედერაციის ხელმძღვანელმა განაჩენი გამოიტანა, ახლა მის იურიდიულად ასამოქმედებლად 17 დეკემბრისთვის დანიშნული ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის დისციპლინარული კომისიის თანხმობაა საჭირო.

საქართველოს ეროვნული ნაკრების წევრების დისკვალიფიკაციის შესახებ ლუკა კურტანიძემ 13 ნოემბერს ფალავანთა კლუბში, პრესკონფერენციაზე განაცხადა.

მოჭიდავეთა დასჯის მიზეზი მოსკოვის „ევროპის ერთა თასზე“ (9-10 ნოემბერი) გამოუსვლელობაა. მოსკოვში კი თავისუფალ და ბერძენ-რომაელთა ნაკრებებმა ფინალში ასპარეზობის უფლება მოიპოვეს. ოღონდ გადამწყვეტ ფაზაზე ორივე გუნდი დამარცხდა და ვერცხლის მედლებს დასჯერდა.

„ამ ორი მოჭიდავის უპასუხისმგებლობა რომ არა, დღევანდელ პრესკონფერენციას „ევროპის ერთა თასის“ მოგებას მივუძღვნიდით. მათ პირადი ინტერესები ნაკრების ღირსებაზე მაღლა დააყენეს და ამის გამო მეორე ადგილი დავიკავეთ. იაკობ მაქარაშვილისა და დავით მარსაგიშვილის 6-თვიან დისკვალიფიკაციას ხელი უკვე მოვაწერე.

17 დეკემბერს ჭიდაობის ფედერაციის დისციპლინარული კომისია შეიკრიბება და იქ გადაწყდება, ეს ვადა ძალაში დარჩება თუ გაიზრდება“ - განაცხადა ლუკა კურტანიძემ.

დავით მარსაგიშვილი (84 კგ.) ევროპის ჩემპიონი და ოლიმპიური თამაშების ბრინჯაოს პრიზიორია, იაკობ მაქარაშვილს (74 კგ.) კი ეროვნული გუნდის შემადგენლობაში 2013 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე დებიუტი ჰქონდა.

ფედერაციის პრეზიდენტსა და დავით მარსაგიშვილს შორის ამ თემაზე საუბარი უკვე გაიმართა. ეროვნული ნაკრების წევრმა თავის შედეგმაზე გაამახვილა ყურადღება: „ძალიან ცუდი რამ მოხდა და სრულად ვიღებ ჩემს წილ პასუხისმგებლობას. ვაღიარებ, სწორად არ მოვიქეცი, მაგრამ ეს შეგნებული ნაბიჯი არ ყოფილა. მე თვითონაც მოტყუებული დავრჩი. ირანში საკლუბო დონეზე საჭიდაოდ ვიყავი და ერთი დღით დამაყოვნეს. რომ მცოდნოდა, ნაკრებში ჭიდაობას ვერ მოვასწრებდი, ირანში საერთოდ არ წავიდოდი. მოსკოვში მაინც ჩავედი, მაგრამ, სამწუხაროდ, ხალიჩაზე გასვლა ვეღარ მოვასწარი. დისკვალიფიკაციის შესახებ არაფერი ვიცოდი. ცოტა ხნის წინ ჟურნალისტისგან შევიტყვე და მაშინვე ფედერაციაში წამოვედი. დღეს ისედაც ვაპირებდი მოსვლას და კურტანიძესთან საუბარს. მოსკოვში ეს არ მოხერხდა. ჩვენ ჩვენი სათქმელი ვუთხარით ერთმანეთს. საბოლოო გადაწყვეტილებას უახლოეს მომავალში ჭიდაობაში კომპეტენტური ადამიანები მიიღებენ, დისკვალიფიკაციის თაობაზე იმსჯელებენ და, იმედია, გააუქმებენ“, - განაცხადა დავით მარსაგიშვილმა.

იმ შემთხვევაში, თუ დიციპლინარული კომისია ლუკა კურტანიძის მოთხოვნას დააკმაყოფილებს, მარსაგიშვილსა და მაქარაშვილს საქართველოსა და ევროპის ჩემპიონატების გამოტოვება მოუწევთ.

პრესკონფერენციაზე თავისუფლების სამწვრთნელო შტაბთან დაკავშირებითაც ითქვა - საქართველოს თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ეროვნული და ასაკობრივი ნაკრებების მრჩეველი ვლადიმერ მესტვირიშვილი იქნება. საქართველოს ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის ხელმძღვანელობამ გადაწყვეტილება უკვე მიიღო, მაგრამ საკითხს საბოლოოდ დასამტკიცებლად 17 დეკემბერს, აღმასკომის სხდომაზე გაიტანს.

მანამდე მესტვირიშვილი ინდოეთში გაემგზავრება და მოქმედი კონტრაქტის გაწყვეტის იურიდიულ მხარეს მიხედავს.

ვლადიმერ მესტვირიშვილი უკვე ათი წელია ინდოეთში მუშაობს და ძლიერი საჭიდაო სკოლაც შექმნა. ახლა იქაურ ნაკრებებს უწევს კოორდინაციას. 2010 წელს ის ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციამ მსოფლიოს დამსახურებულ მწვრთნელად დაასახელა.

საქართველომ ელიტ-რაუნდისკენ დიდი ნაბიჯი გადადგა

ირაკლი გოგვაძე

გუშინ, მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე, უეფას 19 წლამდელთა საკვალიფიკაციო რაუნდის პირველი შეხვედრა გაიმართა, სადაც საქართველოს ნაკრებმა უელსელი თანატოლები 5:1 დაამარცხა.

შეხვედრა პირველივე წუთებიდან «ჯვაროსნების» უპირატესობით წარიმართა და მე-6 წუთზე პირველი სახიფათო მომენტი შეიქმნა. ნიკა ჭანტურიას შორეული გადაცემის შემდეგ, მეკარესთან ერთი-ერთზე დარჩენილ ჯიქიას ანგარიშის გახსნა შეეძლო, მაგრამ მისი დარტყმა არაზუსტი აღმოჩნდა. მე-10 წუთზე ჯიქიას კიდევ ერთი მომენტი ჰქონდა, შორეული დარტყმის შემდეგ ბურთი მცირე მანძილით აცდა უელსის კარს. შეხვედრის 23-ე წუთზე, გიორგი პაპუნაშვილმა მეტოქის მცველების შეცდომით ისარგებლა და მეკარესთან ერთი-ერთზე დარჩენილმა პირველი გოლი გაიტანა. 26-ე წუთზე, უელსელმა მცველმა, ბრედლი უიქჰემმა საჯარიმოში მიუტევებელი შეცდომა დაუშვა, შეცომით კი დავით ჯიქიამ ისარგებლა და ანგარიში 2 ბურთამდე გაზარდა. 28-ე წუთზე ოთარ კაკაბაძეს შორიდან ძლიერი და ზუსტი დარტმა გამოუვიდა, მაგრამ უელსელთა კიპერმა ბრწყინვალე სეივი ჩაიწერა აქტივში. ზუსტად 2 წუთში ჯიქიას დარტყმის შემდეგ ბურთი ძელს მოხვდა. 42 წუთზე, ლუკა ზარანდიას მიერ კუთხურიდან ჩაწოდებულ ბურთს, თავი ზუსტად ალექსანდრე გურეშიძემ დაუხვედრა და მეტოქის კარში მესამე გოლი გაიტანა. პირველი ტაიმი 3-0 დასრულდა. მეორე ნახევარში, ალბათ ყველა უელსის გამოცოცხლებას ელოდა.

მეორე ტაიმი «ჯვაროსნების» შეტევით განახლდა. 48-ე წუთზე დავით ჯიქია ინდივიდუალურად ბრწყინვალედ შევიდა საჯარიმოში. ჩამოიტოვა 2 მცველი და მეკარესთან ერთი-ერთზე დარჩენილმა ლევან შენგელიამ რეალური მომენტი ვერ გამოიყენა. შეხვედრის დასრულებამდე 4 წუთით ადრე, საქართველოს კარის მიმართულებით ჯარიმა დაინიშნა, რომელიც ზუსტად ტომას ო`სალივანმა შეასრულა და პრესტიჟის გოლი გაიტანა.

გერანტ უილიამსი: «შეხვედრა ძალიან არასასიამოვნო შედეგით დამთავრდა, გულგატეხილები ვართ. საქართველოს ძლიერი ნაკრები ჰყავს, როგორც გუნდურად, ისე ინდივიდუალურად. ისინი მოედნის ცენტრში კარგად მანევრირებდნენ და ბურთის გათამაშების საშუალებას არ გვაძლევდნენ. ვეცდებით ჰოლანდიასთან დაშვებული შეცდომები გამოვასწოროთ.»

ვასილ მაისურაძე: «შედეგით კმაყოფილი ვართ, მაგრამ ასეთ შედეგს არ ველოდი. დიდი მადლობა ბიჭებს. აქცენტი პირველ თამაშზე გავაკეთეთ და ყველაფერი კარგად დამთავრდა. ახლა მთავარია ეს მოგება დავიცავთ და მთელი ყურადღება მოლდოვაზე გადავიტანოთ. ჩვენ 2 წლის წინ ვეთამაშეთ ამ გუნდს და 2:1 დავამარცხეთ. იმის შემდეგ მეტოქე გაძლიერდა და ხელწამოსაკრავი არაა.»

მიხეილ მესხის სახელობის სტადიონი. 14:00 საათი.

საქართველო 5:1 უელსი.

საქართველო: ქურდაძე, კაკაბაძე, გურეშიძე, ჭანტურია (კ),ცინცაძე, აბურჯანია, პაპუნაშვილი (შენგელია, 66), ჯიქია (კერძევაძე, 62), კიკაბიძე, თევზაძე, ზარანდია(ახვლედიანი, 77).

მთავარი მწვრთნელი: ვასილ მაისურაძე.

უელსი: ო`ბრაიანი, ვიქჰემი, ჯონი (კ), ევანსი, იორვერთი (ქროუ, 60), დევისი, შიჰენი (ვიქსი, 73), რიდი (ჯონსი, 73), ო`სალივანი, ჯორჯ უილიამსი.

მთავარი მწვრთნელი: გერანტ უილიამსი.

მთავარი მსაჯი: მატიას გესტრანიუსი (ფინეთი).

გოლები: 1:0 პაპუნაშვილი (23), 2:0 ჯიქია (27), 3:0 გურეშიძე (43), 4:0 ჯიქია (56), 5:0 ცინცაძე (61), 5:1 ო`სალივანი (86).

გაფრთხილება: პაპუნაშვილი (16), ო`სალივანი (78), დევისი (80).

გაძევება: ო`ბრაიანი (58).

აქვე გეტყვით, რომ ჰოლანდიის და მოლდოვას ნაკრებების შეხვედრა ჰოლანდიის გამარჯვებით, ანგარიშით 3-0 დასრულდა.

საქართველოს ნაკრები შემდეგ შეხვედრას 15 ნოემბერს, მოლდოვას ნაკრების წინააღმდეგ გამართავს. მატჩი მიხელის მესხის სახელობის სტადიონზე, 14:00 საათზე დაიწყება.